საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციონ. პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო.

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
თვიურად ღირს 25,000 მ. სამგლოვიარო განცხადება 30,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მან.

შაბათი, დეკემბრის 3
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებული დედა მარიამ, ცოლი ფუფუხა, დაი ელენე რძალი სოფიკო ძმები: ალექსანდრე, ლევან, ვასო, ძმისწული მიშა და სიძე მიშა ქიაურელი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათი საყვარელი

## კოტე ციმაკურიძე

პანაშვიდი ყოველ დღე სად. 5 საათზე ფასანაურის ქუჩა № 9. დაკრძალვა კვირას, დეკემბრის 4-ს ვერის სასაფლაოზე. 124

გულ მოკლულნი მშობლები ლუკა ანტონის ძე და ოლღა ივანეს ასული ხელაშვილები ქალით ნინათი, დიდედა ეკატერინე, ბიძა დავით ხელაშვილი ცოლით და ქალით, პაპა ივანე გიორგის ძე სიყმაშვილი ცოლით, ბიძა ვლადიმერ აბრამის ძე ხვთისიაშვილი ცოლითა და შვილებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნოემბრის 29-ს რეალურ სასწავლებლის მე-3 კლასის მოწაფე

## კოლა ლუკას ძე ხელაშვილი

გასვენება ბინიდამ დანიშნულია კვირას, დეკემბრის 4 ს, დილის 10 ს. ყოფილ სამხედრო ტაძარში, სადაც წირვასა და ანდერძს შეასრულებს მისი უწმინდესობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. დასაფლავება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 127

## მწარე წერილები

1.

ამას წინად პარიზის გაზეთ „ტანი“-ში დაიბეჭდა ნოე ჟორდანიას და კარლო ჩხეიძის მოწოდება ევროპის ძალებისადმი საქართველოს შესახებ. გაზეთ „ტრიბუნა“-ში ჩვენ გადმოვბეჭდეთ იგი მოწოდება.

მოწოდება ეხებოდა სიმშილს და გზა და გზა აღნუსხავდნენ, რომ ევროპამ განდევნოს კავკასიიდან ბოლშევიკური ძალა. მოწოდებაში არ იყო კონკრეტიულად დასახული არც გეგმა, არც უბრალო საშუალება ამ მიზნის ასასრულებლად.

მოწოდებანი მოწოდებად რჩებიან. ზნეობრივ გავლენის მნიშვნელობა—როგორც სჩანს—სახელმწიფოებრივს საკითხებში მეტად უმნიშვნელოა. ეს ისედაც უნდა სცოდნოდათ ისეთ რეალისტებს, როგორიც არიან ჟორდანია ჩხეიძე. ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი სისტემატიურად შორდებიან ზნეობრივ ატრიბუტების დემონსტრაციებს და თან და თან ისახავენ პრაქტიკულ მიზნებს, ასახელებენ პრაქტიკულ, რეალურ საშუალებებს.

ერთი ასეთი საშუალებათაგანი გახლავსთ ინტერვენცია. „ჩვეულებრივად ინტერვენცია ხდება ძალით, ჯარით, ომით: ერთი ძალა ამარცხებს მეორეს და სდევნის ქვეყნიდან. ეს არის ელემენტარი ფორმა ინტერვენციისა. მართალია, საშუალება მეტის მეტად ცუდი, საზარალო, ხშირად დამღუპველია ქვეყნისათვის, მაგრამ არის ისტორიული გარემოებანი, როცა ძალუძი ასეთ საშუალებასაც მიმართავენ ხოლმე.“

ჟორდანია-ჩხეიძეც იღებენ ინტერვენციის აზრს, მაგრამ ისინი ამისათვის ასახელებენ მეორე ინტერნაციონალის ძალას—ჯარს. ამას ჟორდანია უწოდებს სოციალისტურ ინტერვენციას. შეიძლება ეს პოლიტიკა უბრალო საფუძვლია უფრო ნამდვილი პოლიტიკის დასახელებისათვის, თორემ ვინ არ იცის, რომ მეორე ინტერნაციონალს, რომელმაც 1913 წლის შემდეგ სამჯერ მოიწვია ყრილობა, მაგრამ ვეღარ ერთხელაც ვერ მოახერხა უბრალო შეკრებაც, ხოლო არავითარი რეალური, ფიზიკური ძალა არ მოეპოვება არაიმე მიზნის, საკუთარი საქმის გასაკეთებლად, საქართველოსათვის ის სრულიად უმნიშვნელოა. აშკარაა, აქ საინტერესოა მხოლოდ ეტაპი აზროვნებისა, საზოგადოების ხეჩვევა იმ აზრის, რომ ინტერვენცია სასურველია, რომ ამისათვის შესაძლოა ფიზიკური ძალით სარგებლობა.

ჩვენ ვიცით, რომ ანტანტამ შექმნა ეგრედ წოდებული „ხალხთა ლიგა“, სადაც—თუმცა წარმომადგენლად—მეორე ინტერნაციონალის ისეთი თვალსაჩინო ძალებიც იუშაობენ, როგორიც არიან ჟუო, რენოდელი და სხვანი. „ხალხთა ლიგა“-ს მენშევიკური მთავრობაც დაუკავშირდა თავის დროს. ესე იგი არსებითად მეორე ინტერნაციონალის ფიზიკური ძალა იგივე „ხალხთა ლიგის“, ესე ანტანტის ფიზიკური ენერგიაა, რომელსაც ჯერ-ჯერობით მიხვეულმოხვეულად ჟორდანია „სოციალისტურ“ ძალად ნათლავს და „სოციალისტურ ინტერვენციად“ ასახელებს შესაძლებელ ხალხთა ლიგის“ ნაბიჯებს.

რომ ჩვენი წყება აზროვნებისა სავსებით სწორია—ეს სჩანს იქიდანაც, რომ პარიზში კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებმა შეკრეს კავშირი—ფედერაცია, რის შემდეგ კავკასიის ყოფილ რესპუბლიკების წარმომადგენლები, უკვე ერთად გამოდიან ყოველს საკითხში.

ინტერვენციის საქმეში უკვე პრაქტიკული ნაბიჯიც გადაიდგა. კავკასიის რესპუბლიკების სახელით აზერბეიჯანელმა მეჩარანოვმა (?) „ხალხთა ლიგის“ სეკრეტარიატს მემორანდუმი მიართვა, რითაც კავკასიის რესპუბლიკები მოითხოვენ ლიგიდან ბოლშევიკების განდევნას კავკასიიდან. ამ გვარად, დაწყებული კამპანია ინტერვენციის სასარგებლოდ, მივიდა თავის ლოღიკურ დასკვნამდე. ჩვენს წინაშე გაიელვა პირველად ზნეობრივ ინტერვენციის აზრმა, შემდეგ სოციალისტურ ინტერვენციის იდეამ, ხოლო ყოველივე ეს მივიდა „ხალხთა ლიგის“ ინტერვენციამდე.

ასეთია რეალური მდგომარეობა.

არა პარტიული ქიშპისათვის, არა სექტანტურ გახეწყობილებისათვის, არა რაიმე აკვიატებულ აზრის მიხედვით, არამედ სრულიად გახსნილი ყველა ამ „ცოდვასაგან“, განზრახ განმზადილნი, რომ ცივი გონებით განსვჭვრიტოთ ჩვენი მდგომარეობა და ჩვენი ყოფილი მთავრობის რჩევანი—ჩვენ ვეხებით ამ საქმეს, ვიყიწყებთ მის წვრილმანებს და მოწიწებით განვიხილავთ იმ ისტორიულ საკითხს, რომელიც ყოველ ქართველისათვის დღეს და მით უმეტეს ჩვენი შთამომავლობისათვის, უძვირფასესი საკითხი არის და იქნება.

ჩვენს წინაშე სდგას არა რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხი, ცხარე ბრძოლებს რომ იწვევს ძალთა შორის, არამედ მთელი სამშობლოს საკითხი. სამშობლო, რომელიც ჩემიც არის, შენიც, თქვენიც, ყველასი, რომელსაც ყველა ატარებს თავის გულის საგანძურად, რომლის გასაქარს ყოველი პოეტი ახოხებს ცრემლთა ფრქვევით, ხოლო ყოველი მოქალაქე სცვლიან ჰანგებით მოჰსავს, სამშობლო, საქართველო, ჩვენი ქვეყანა მოითხოვს ჩვენგან ღირსეულ მამულიშვილთა ღირსეულ პასუხს.—

— რა ვქნეთ?

— საით?

კავკასიის ფედერანტები მოგვიწოდებენ ევროპას იმ რეჟიმის შეცვლას, რომელიც ამ ჟამად არსებობს საქართველოში. მაგრამ რაკი ეს რეჟიმი ძალით არის დამყარებული, ის მიმართავს ძალას. აქ ქამად თავისი ძალა არ გააჩნიათ ფედერანტებს—ამიტომ ისინი მოუწოდებენ ევროპის შეიარაღებულ ძალებს საქართველოდან ბოლშევიკების გასადევნად.

ფედერანტები ამბობენ: ბოლშევიკებმა საქართველო დაიპყრეს, საჭიროა საქართველოს აღდგენა! ესე იგი მოწოდება გზება ჩვენს ყოფა ცხოვრებას, ჩვენს საქმეს, ჩვენს სათნოებას, ჩვენს მიწას, ჩვენს სიცოცხლეს. აშკარაა, ამ საჩვენო საკითხში ჩვენც უნდა ჩავერიოთ და გულშინდით ჩვენს მოდავეების რჩევას, უარყოფითი ან დადებითი პასუხი გავსცეთ.

ამ საქმეს ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ეს არ არის მოწოდება „ტყის ძმების“ მიერ გულის „მოსაფხანად“ დაწერილი. თანამედროვე ბურჟუაზიულ ევროპის გულში ხალხთა ლიგაა ჩარჭული, ესე იგი მთელი ანტანტა.

წმიდათა წმიდაა ის მიზანი, რომლისთვისაც მოგვიწოდებენ ფედერანტები. ეს მიზანი—კავკასიის თავისუფლებაა, მაგრამ მიზანს სრულიად არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, თუ საშუალებები იქმნა ყალბი და საზიანო. ეხლა ყველგან გაიგონებთ: არ გვინდა წმიდათა წმიდა მიზანი—სოციალიზმი, თუ გზაში დაიღუპა ქართველი ხალხიო. იგივე შეგვიძლია ვსთქვათ მეორე შემთხვევაშიაც: არ გვინდა წმინდათა წმინდა მიზანი—საქართველო, თუ გზაში, საშუალებაში დაიღუპა ქართველი ხალხი. აქედან სჩანს, მიზანი კიდევ არ არის თავი და თავი, ჯერ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საამისო საშუალებას, გზას.

მოწოდება გვირჩევს ინტერვენციას. ბოლშევიკების შემოსვლის პირველ ხანაში, ინტერვენცია უარყო საქართველოს ყოველმა პარტიამ, უარყო მენშევიკობამაც. 13 მარტს, როცა აზიზი მოედანთან, ჟორდანიას მთავრობას მოხსენებას უკეთებდი ბოლშევიკების შესახებ იმავე დღესვე ნ. ჟორდანიამ განკარგულება გასცა—გაგზავნეთ 40 ვაგონი სამტრედიის მიმართულებით ბათომში რუსის ჯარის შემოსაყვანათ. ეს განკარგულება მოხდა მას შემდეგ, რაც ბათომში იმავე ჟორდანიას ნებართვით უკვე შემოყვანილი იყო ქემალის ჯარის ნაწილი—800 კაცი. ერთად ერთი აზრი ამ განკარგულების ის იყო, რომ ჟორდანიას მთავრობა, რომელიც გაქირვების დროს უყურადღებოთ დატოვა ევროპამ—ემორჩილებოდა მდგომარეობას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ სცნობდა შექმნილ პირობებს და ევროპაში მიდიოდა არა იმისთვის, რომ სიპაიების, ნეგრების ბერძნების თუ სხვათა ჯარებით შემოვიდეს საქართველოში, არამედ საქართველოს საკითხი მიანდოს თვით იმ შინაგან ძალთა განწყობილებას, რომელიც შეიქმნება თვით საქართველოში.

ჩემი მოხსენების დროს, ნ. ჟორდანიამ ერთი დამახასიათებელი შეკითხვა მომცა: მართალია თუ არა ორი სტუდენტის დახვრეტა ტფილისში? იყო მსგავსი შეკითხვებიც. მაგრამ როცა ამ ცნობების სიყალბე გაიგო, კატეგორიულად დამშვიდა სალონ-ვაგონთან მოხდევნებულ ხალხისათვის მეტქა ყოველივე და დამშვიდდნენ. ეს არის იგი ტფილისელთა მშვიდობით და ბოლშევიკების ტაქტიკის განსაკუთრებით. ეს ფაქტი სავსებით იმას ამტკიცებს, რომ იმ დროს ჟორდანია არ იზიარებდა ინტერვენციის გზას. ეს იქიდანაც სჩანს, რომ ჟორდანია თვითონ უარყოფდა საპოლიტიკო, ილეგალ მდგომარეობის ღირსებას, რაც შემდეგ გამოიხატა მენშევიკების რეზოლიუციაში ბათუმში. ჩემი მოხსენების დროს მე მივიღე კატეგორიული ხმაურებიც, რომ ჟორდანია დიდი წინააღმდეგიც არ იყო საქართველოში დარჩენის, რომ ის არ ყოფილიყო ამავე დროს მთავრობის თავმჯდომარე. ესეც იმას ნიშნავს, რომ უცხოეთში ჟორდანიას მთავრობის პოლიტიკა შეუქცევლად შეიცვალა და შეიცვალა უფრო იმ პირების გავლენით, რომელთაც ყოველთვის საბოლოო და გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა საქართველოს ამ დიდ კრიზზე, მაგრამ ძალიან სუსტი ნებისყოფის ადამიანზე. იქ, სადაც ჩხეიძეშვილი გამოდის მოწოდებებით და ქვეყნის საქმეებზე ევროპას ელაპარაკება*), რომელსაც ყოველი ქართველი სამართლიანი ხმით იხსენიებს, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ესეც არაა შემთხვევა და ჩხეიძეშვილების კამპანიას კვლავ გადამწყვეტი გავლენა აქვს პარიზის მყოფ ყოფილ მთავრობაზე**).

ამგვარად, ყოფილი მთავრობის პოლიტიკა შეიცვალა. დღეს ის სავსებით სდგას ინტერვენციის საფუძველზე, რაც კატეგორიულად გამოთქმულია მემორანდუმში. ამ მემორანდუმს, რომელსაც შიდა საქართველოს ძალებზედაც უეჭველად ექნება გავლენა შეუძლია, შექმნას სრულიად ახალი პირობები მუშაობისა, რასაც პარტიულს გარდა, დიდი ეროვნული, წმინდა სადღეისო, მიმდინარე მნიშვნელობა ექნება, რასაც ჩვენ განვიხილავთ ქვემოდ, მაგრამ ჩვენ გვინდა ჯერ ამ საკითხს მოუაროთ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით და სრულიად მიუდგომლად ნათელვყოთ ის სარგებლობა, რომელსაც მოგვიტანს კავკასიის ფედერანტების ახალი და სავსებით გარკვეული გზა.

საგულისხმიეროა, რომ მემორანდუმი წარუდგინეს „ხალხთა ლიგას“ სწორედ დღეს. პოლიტიკურმა მოღვაწემ შეუძლებელია თავის მხედველობიდან დატოვოს ის პირობები, დრო, რომელშიაც ცხადდება მემორანდუმი ეს დრო შემდეგია: სიმშილი რუსეთში. ბრძოლა ირლანდიის, პეტლიურა, პოლონეთის და რუმინიის ხმა მაღლა ლაპარაკი. შეიძლება დღეს მიაჩნიათ ინტერვენციის ძალებს ის მომენტი მოახლოვებულად, როცა ერთი სულის შებერვით შეიძლება იმ წყობილების დამხობა, რომელიც დღეს არსებობს საქართველოში.

ჩვენც კარგად უნდა ვწონიდეთ საერთო ძალთა-განწყობილებას. სამწუხაროდ, მენშევიკების მიერ ძალთა-განწყობილების აწონის საარაკო სისუსტეც მიგვაჩნია ჩვენ იმ საარაკო მარცხის ერთ მიზეზად, რომელმაც მოსპო მენშევიკური პარტია და ზარბაზნების ალში გახვია ქართველი ხალხი—თუმცა მენშევიკები მუდამ გაჰყვიროდნენ და სიბრძნეს ჩაგვჩიჩინებდნენ.

ჩვენ გვინდა ინტერვენცია განვიხილოთ პირდაპირ მისი მიზნის და შედეგის თვალსაზრისით. ინტერვენტანტები დაბეჯითებით გვეუბნებიან, რომ ევროპიდან წამოსული საქართველოს და კავკასიას აღადგენენ, ჩამოაშორებენ სამუდამოდ რუსეთს და ტახტზე ისევ ჟორდანიებს აიყვანენ. ჩვენ ეს აზრი მიგვაჩნია ისევე შემცდარად, ისევე გულუბრყვილოდ, როგორც მენშევიკების მთელი ცხოვრება, აგებული გულუბრყვილობის და ყალბი შემეცნების ნიადაგზე.

განვიხილოთ ფაქტები და არა ილუზიები. ევროპას დღეს ანტიბოლშევიკური ძალა უმთავრესად პარიზი ჰყავს, როგორც აქტიური ელემენტი. სხვა დიდმა სახელმწიფოებმა სავაჭრო კავშირები დასდეს რუსეთთან (ინგლისმა, შვეციამ, გერმანიამ, დანიამ, ამერიკამ, იტალიამ, და სხ.) მხოლოდ საფრანგეთი, დარჩა ჯერ კიდევ ჯიუტი და „შეურიგებელი“. კავკასიის ფედერანტებს გონიათ, რომ ეს საფრანგეთი გაანთავისუფლებს საქართველოს, ეს ჩვენ მიგვაჩნია უდიდეს გულუბრყვილობად, საოცარ შეცდომად, ვინაიდან საფრანგეთი ცნობილია, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგე და სასტიკი დამცველი რუსეთის მთლიანობის. ეხლაც საფრანგეთი უციხავს ჩვენს ყოფილ მთავრობას იმიტომ კი არა, რომ საფრანგეთს სურს საქართველოს თავისუფლება, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მენშევიკებში პარიზი ხედავს ბოლშევიკების საწინააღმდეგო ძალას. ბოლშევიზმის დამხობა კიდევ არ ნიშნავს საქართველოს თავისუფლებას, ვინაიდან ბოლშევიზმს თუ დაამხობს, დაამხობს იმპერიალიზმი საფრანგეთის მეთაურობით, რომელიც ტახტზე ჟორდანიას კი არ დასვამს, არამედ შექმნის სრულიად რუსეთის იმპერიას, სადაც უპატრონო ოქროს აქვს ჩაყრილი და გაიჭედება შეუმცდარად რუსეთს. ჩვენ ეს დებულება მიგვაჩნია პირველ კატეგორიულად. ამიტომ, ჩვენი მთავარი დებულებაა: პარიზის ძალის გამოყენება არის არა საქართველოს ბედი, არც მენშევიზმის გაბატონება არამედ, ბოლშევიზმის დაცემა, მაგრამ საქართველოს საბოლოო შეერთება რუსეთთან, ძველ რუსეთთან, რეაქციის რუსეთთან, სადაც საქართველოს თავისუფლება ცხრა-კლიტულში მოექცევა.

მეორე ჩვენი კატეგორიული რწმენა: ჟორდანიას შეიძლება ტრიუმფით შემოყვეს საფრანგეთის ჯარს, მაგრამ როცა საფრანგეთის ჯარი აღადგენს სრულიად რუსეთს, ევროპის დაყენებული რუსეთის ნოქრები უმალვე იმ ძალებს მოათავსებენ ცხრა-კლიტულში, რომლებმაც 1917 წელს თებერვალში რევოლიუცია იქადაგა, მაგრამ სახრჩობელაზე აიყვანენ იმათ, რომლებმაც ისეც არ იკმარეს და რუსეთი დაანგრიეს, დაანაწილეს, ერების განთავისუფლება მოინდომეს.

ტრიუმფალური შემოსვლა საქართველოში არ არის თავისუფლების გარანტია.

თედო ღლონტი.

*) ჩხეიძეშვილის მოწოდება „ტან“-ში დაიბეჭდა.

**) ქუთაისის შემდეგ ბ. ჩხეიძეშვილი დანიშნულ იქმნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

## რევოლიუციონური პოლიტიკა.

საბჭოთა რუსეთის მიერ მეფის ვალების გადახდის აღიარებამ დიდ ევროპის მმართველ წრეებში და ფართო მასსაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მართლაც „საკვირველი“ და „მოულოდნელი“ მოვლენაა: რუსეთი, რომელიც ევროპის ბურჟუაზიის დოვლათის სოციალიზაციაზე და კაპიტალისტურ მსოფლიოს დამსხვრევაზე აცხადებდა კატეგორიულ პრეტენზიებს, დღეს საქვეყნოდ მიდის „დათმობის გზით“ და პირდება იმპერიალისტურ ანტანტას 1914 წლამდე ძლეულ მონარქიულ რუსეთის ვალების გასწორებას, განაღდებას.

რამ გამოიწვია საბჭოთა მთავრობის „უკანდახევა“ საერთაშორისო რეაქციის წინაშე და არის თუ არა ასეთი ნაბიჯი ოპორტუნისტული, სოციალისტური რევოლიუციის ძლიერი ტემპის შემნელებელი, მიზანშეუწონელი? აი საკითხი რომლის გარშემო ტრიალებს ამ ჟამად სოციალისტური აზროვნება და ე. წ. „საზოგადოებრივი“ აზრი.

რუსეთის რევოლიუციას, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა დასახული: პირველი, რევოლიუცია ყოფილიყო უდიდესად სოციალისტური ბუნების, და მეორე, მიეღო მას საერთაშორისო ხასიათი. ოთხი წლის პრაქტიკა გვაძლევს სრულ უფლებას ვიფიქროთ, რომ დღეს კომუნისტური რევოლიუციის მიზნები სავსებით, მთლიანად არ არის რეალობაში გატარებული. რუსეთის რევოლიუციამ მიიღო მხოლოდ მომქმედ ვულკანის ნამდვილი სახე, მაგრამ მისი აფეთქება მსოფლიო მასშტაბში, ჯერ არ მომხდარა კიდევ. რევოლიუციის ერთი მთავარი ამოცანა უნდა ჩაითვალოს გადაჭრილ-გადაწყვეტილად. სახელდობრ: რუსეთის რევოლიუციამ მთელი მსოფლიო გაჰყო ორ მოპირდაპირე ბანაკად და გადამწყვეტ, საბედისწერო ბრძოლის წინაშე დააყენა სოციალური კლასები. გენერალური შეტაკება ჯერ არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ ამის სიმპტომები ჩამოყალიბებული იყო...

ევროპის ფართო წრეებში რუსეთის, რევოლიუციამ, ვერ ჰპოვა აქტიური გამოძახილი. კაპიტალიზმის რეჟიმმა თავის გავლენის ქვეშ მოაქცია პროლეტარიატი. გერმანია, ინგლის-საფრანგეთი და საზოგადოდ—ევროპის ქვეყნები ვერ შეიქნა რევოლიუციის დასაყრდნობი წერტილი; მასასადამე, ფიქრები მსოფლიო რევოლიუციის ახლო მომავალზე ჯერ-ჯერობით საკმაო საფუძვლიანობას მოკლებული დარჩა. ასეთია ფაქტი, რომელიც არა ერთხელ გაუმჟღავნებიათ, აღიარებიათ თანამედროვე რევოლიუციის ბელადებს.

რაკი რუსეთის რევოლიუციამ თავისი მიზანი საერთაშორისო მასშტაბში ვერ განავითარა, იგი ლოღიკურის აუცილებლობით რუსეთის ორბიტაში მოექცა და მიიღო ეროვნული ხასიათი. ამ გარემოებამ გამოიწვია საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის და დასახულ გეგმების ძირითადი გადასინჯვა საერთაშორისო რევოლიუციასთან მიმართ, ორგანიულად შეკავშირებული იყო საკითხი რევოლიუციის შინაარსის, ხასიათის შემობრუნება: რუსეთის რევოლიუცია გამოხატავს როგორც სოციალისტური მოძრაობა, წინააღმდეგ შემთხვევაში უმნიშვნელოა მისი მოძრაობა. სრული ქეშმარიტებაა ეს. მაგრამ უფრო ნათელი გახდა იმ მოსაზრების ჭეშმარიტებაც, რომ რუსეთის სოც. რევოლიუციის რეალიზაციის საკითხი მსოფლიო რევოლიუციის გამარჯვების საკითხია. ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარდა დროებით ეს უკანასკნელი სხვა გზა მიიღო რუსეთის რევოლიუციამაც. ამ მოვლენის ბუნებრივი შედეგია საბჭოთა მთავრობის მიერ ახალი ეკონომიური კურსის აღიარება და მისი ეკონომიურ სისტემად ჩამოყალიბება.

სამოქალაქო ომმა, როგორც ყოველი სოციალი რევოლიუციის დამახასიათებელ მომენტმა, რუსეთის საშინაო ცხოვრება ძალზე შეარყია. ოთხი წლის განმავლობაში კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლით საბჭოთა რუსეთი ეკონომიურ დარგში უარყოფით შედეგების წინაშე წარსდგა. „სამხედრო კომუნიზმი" მოითხოვდა აურებელ სამხედრო საჭიროებათა დაკმაყოფილებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, რევოლიუცია აუცილებლად დამარცხდებოდა. დამარცხდა კონტრ-რევოლიუცია, მაგრამ სამოქალაქო ომის რეზულტატები: ეკონომიურ ცხოვრების დაშლა და სხ., არ გადალახულა. საბჭოთა მთავრობის პოლიტიკური გეზი მიმართულია სწორედ საშინაო ცხოვრების აღდგენა-მოწესრიგებისაკენ. მუშაობის ნაყოფს დღეს ჩვენ უკვე ვხედავთ.

სამოქალაქო ომის დასრულება რუსეთში ახალი, სტიქიური უბედურებით დაიწყო. მე ვამბობ ვოლგის მხარის მშრომელთა დამშევის შესახებ. დღეს რამოდენიმე მილიონი მუშა ყრია ულუკმაპუროდ. ამას დაუმატეთ დამშეულთა შორის ათასგვარ სნეულებათა გავრცელება: ოფიციალი ცნობის თანახმად, დამშეულთა მხარის ზოგიერთ თემში 70—80 პროც. მთელი ცხოვრებით ავადმყოფობს. ეს გარემოება უფრო საშინელს ხდის მძიმე მდგომარეობას. მართალია, მთელი ქვეყნის მშრომელი მასების ყურადღება მიმართულია რუსეთის დამშეულებისაკენ, მაგრამ ფაქტიური მდგომარეობა მოითხოვს მეტს სერიოზულ დახმარებას. ამით ისარგებლეს ანტანტის სახელმწიფოებმა. ისინი ეუბნებიან საბჭოთა მთავრობას, დაგეხმარებით, გავაბამთ თქვენთან ეკონომიურ ურთიერთობის ძაფს, მაგრამ.. გადაგვიხადეთ მეფის ვალეიბი. რუსეთი იძულებული შეიქნა მიეღო ანტანტის წინადადება.

ამ რიგად, რუსეთის მშრომელთა კლასმა ანტანტის იმპერიალისტებს უნდა მიართვას მონარქიის მიერ სესხად აღებული ოქროები. ასეთია უსამართლობის ბუნება! ჰნიშნავს ეს რევოლიუციის უკან დახევას რეაქციის წინაშე? არა, არ ჰნიშნავს. პირიქით, უფრო გაალრმავებს და გაამწვავებს რუსეთის პროლეტარულ მასაში დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის მძულვარებას და გაასკეცებს ამ კლასის მოპოზიციაკენ მიმართულ რევოლიუციურ ენერგიას. ეს ერთი ვალების აღიარების ფსიქოლოგიური ხასიათის შედეგი. უფრო საბუთიანი და მნიშვნელოვანია მეორე მოსაზრება: ვალების ცნობით და ევროპის დახმარებით რუსეთი დააღწევს თავს როგორც ეკონომიურ კატასტროფას, ისე იმ საზარელ მოვლენასაც, რომელსაც აქვს ადგილი ვოლგის მხარეში. რუსეთის ეკონომიური რენესანსი რევოლიუციის გაძლიერებაა, მისი გამარჯვების, მაშასადამე, კაპიტალისტური სამყაროს დაცემის მიუცილებელი თავდებია.

ბურჟუაზიული პრესა იძულებულია აღიაროს ეს რეალი ჭეშმარიტება. დას. ევროპის თითქმის ყველა გამოცემები აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ „ვალების გასწორების აღიარება, არამც თუ უკუ სწევს რუსეთის რევოლიუციის განვითარებას, პირიქით, გაცილებით გააძლიერებს მას. მეფის ვალების ცნობა მომენტითაა აღიარებული" დიახ, ეს ასეა, ბრძნულია რევოლიუციის დიპლომატობა! „ტაიმსი"-ს თერმინით რომ ვსთქვათ, რუსეთი მხოლოდ "передышка"-ს შესვენებას აწარმოებს. „როდესაც საბჭოთა რუსეთი მოღონიერდება, იგი არ გაუშვებს ხელიდან ვალების უარყოფის შემთხვევას".

ჯერ რევოლიუცია სალი კლდესავით უნდა გამაგრდეს თვით რუსეთში, შემდეგ შეიძლება აგრესიული მეთოდის მომარჯვება ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ჩინური კედლების დასანგრევად. ამ გზას ადგას საბჭოთა მთავრობა, ამ მიზანს ემსახურება ომამდე აღებულ ვალების აღიარება, ესაა უტყუარი საფუძველი მსოფლიოს სოციალური რევოლიუციის რეალიზაციის და მთავარი ძარღვი დიპლომატიური პოლიტიკისა ვალების ცნობის საკითხში.

გ. მუშიშვილი.

## ახალი ამბები

— **საარჩევნო კომისიაში.** საქ. მუშ. სოც.-ფედ. სარ. პარტიის მთავარმა კომიტეტმა ტფილისის მუშათა და არმიელთა საბჭოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დაინიშნა ამხ. თედო ღლონტი.

— **ხუთი სოფლის უბედურება.** წელს ნამდვილი ღვთის რისხვა დაატყდა შორაპნის მაზრის შემდეგს ხუთს სოფელ: ჰალას, ლონას, დრბოს, დგაეთს და ძიროვლას. გაზაფხულიდანვე სეტყვამ პირწმინდად მოსპო ვენახები და პურის ნათესები, ხოლო შემდეგში ხანგრძლივმა და იშვიათმა გვალვამ მთლად „გაანადგურა სიმინდი. ხალხი განსაცდელშია. არ აქვს თავისი საზრდო, არც საქონლის საკვები და არც იმის საშუალება, რომ მომავალში კვლავ განაგრძოს სასოფლო მეურნეობა. ზარალი დიდია.

საჭიროა საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობამ ფართოდ და სასწრაფოდ გაუწოდოს დახმარების ხელი განსაცდელში ჩაცვივნულ ხუთს სოფელს.

დაზარალებულთ დიდი იმედი აქვთ ამისი.

— **ბათომის ნავთსადგური.** ნოემბრის 19 და 20-ს მოვიდა ორი გემი: „დიმიტრიდი" და დაქირავებული ნავთის კომიტეტის მიერ „ლედი ელეონარო" 9.000 ფუთი ტვირთით. ამავე რიცხვში მოვიდა 4 იალქნიანი გემი. გავიდა ოდესაში გემი „იგნატი-სერგეევი" 670 ფ. ტვირთით და 260 მგზავრით, აგრეთვე 3 იალქნიანი გემი.

— **ზღვით გადატანა.** საქართველოს, აფხაზეთის და აჭარის პორტებში ნოემბრის 15-დან, ყოველივე ზღვის საბარგო და სამგზავრო ტვირთზე შემოღებულია გადატანის გადასახადი ნაღდ ფულზე,—როგორც კერძო პირებისაგან, ისე საბჭოთა პირებისა და დაწესებულებისაგან ყველასი საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო უწყებების გამოკლებით, რომელთათვისაც დარჩა ძველი წესი უფულო გადატანისა.

— **ახალი ჟურნალი.** იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა გასაყიდათ ყოველთვიური ჟურნალი „ხომალდი". ჟურნალში მონაწილეობენ: ს. აბაშელი, ხარიტონ ვარდოშვილი, იასამანი, ობოლი მუშა, ვარ. რუხაძე, ვ. ტუქსიშვილი, გ. ქუჩიშვილი, ლეო ქიაჩელი, დემნა შენგელაია და სხვანი.

— **არჩევნების კამპანია.** რაიონებში წარმოება-დაწესებულებებში უკვე დაიწყო არჩევნების წინასწარი კრებები, რომელიც იწვევს მუშათა მასების დიდს ინტერესს. კრებები განირჩევა მრავალრიცხოვანებით და მიმდინარეობს ინტერესითა და სიცხოველით. კრებებზე იხილავენ კითხვებს, რომელნიც დაკავშირებულია არჩევნებთან. პოლიგრაფიულს წარმოებებში და მეტალისტებში არჩევნების წინასწარი კრებები უკვე ჩატარდა. სხვა კავშირებში—გრძელდება.

— **საარჩევნო კომისიები.** დაწესებულება-წარმოებებში უმთავრეს შემთხვევებში საარჩევნო კომისიებმა მოიწყო და ხელმძღვანელობენ არჩევნების წინასწარ კამპანიას.

— **კანდიდატების სია.** ცენტრალური კომისიაში უკვე შემოდის ადგილებიდან საარჩევნო სიები.

— **მზეჭადავთა კრება.** კვირას დილის 10 საათზე მუშათა სასახლის დიდს დარბაზში მზეჭადავთა საარჩევნო კრება.

## რუსეთი

**მოსკოვი.** 30 ნოემ. სარატოვის დეპოს რკინის გზელებმა გამოუშვეს ორთქლმატარებელი ოქტომბრის რევოლიუციის სახელობაზე.

**მოსკოვი.** 30 ნოემ. 20-მდე მთელ რუსეთში დამზადდა 141,789,16? ფუთი პური. აქედან უკრაინაში დამზადებულია 47 ნახ. მილ. ფ.

**ბრძოლა კონტრ-ბანდისტთა წინააღმდეგ.** ამ ქ მად, რადგან განვითარდა საქონლის გაცვლა-გამოცვლა უცხოეთთან, ფეხს იკიდებს კონტრ-ბანდა, უმეტესად—მომავალ საზღვაო გემებში. უცხოეთის გემებზე, განსაკუთრებით ოდესის საპორტში, დაწესებულია ზედამხედველობა. თითქმის ყოველ მოსულ გემში ჩადება კონტრა-ბანდა ათეულ და ასეულ მილიონების რაოდენობისა.

**შეთანხმება მონღოლებთან.** 6 ნოემ. შეკრულია პირობა მონგოლეთის სახ. მთავრობასთან. საბჭოთა მთავრობა სცნობს მონგოლეთის სახალხო მთავრობას ერთად ერთ კანონიერ მთავრობად მხარეში, და აგრეთვე მონგოლეთის მთავრობაც ასეთს მოსაზრებას გამოსთქვამს. შეთანხმება ეხება აგრეთვე ურთიერთ დაუშვებლობას თავიანთ ტერიტორიებზე ისეთ ჯგუფებისა, რომელიც მტრულად იქნება განწყობილი მეორე მხარესადმი.

(„პრავდა")

**წარმოების ზრდა.** ამ წლის ივლისში დონის აუზში ნახშირის ამოღება დაეცა 9 მილ. ფუთით. პროლეტარულ ორგანიზაციების განუწყვეტელმა მუშაობამ გამოასწორა ეს უბედურება. აგვისტოში ამოღებულ იქნა 11 მილ. ფუთი, სექტ.—13, ოქტ.—39 მილ. ფუთი. შრომის ნაყოფიერობა მომუშავეთა მეტია 1916 წ. შრ. ნაყოფიერობასთან და თითქმის გაუთანასწორდა 1914 წლის ნაყოფიერობას. საშუალო ამოღება თვეში ერთ „ზა[illegible]ოიჩიცისა" 1914 წ. უდრიდა 8,368 ფუთს, 1915 წ.—3,[illegible] 1921 წ. მარტში—1,958 ფ. ოქტომბერში კი —3,300 ფუთს.

## უცხოეთი

**ნაუენი.** ნოემბრის 30-ს გარეშე საქმეთა კომისიის სხდომაზე რეიხსტაგში გადაწყდა, რომ გერმანია არ მისცემს ოფიციალურს პასუხს ბრიანის ბრალდებებს, რომელიც წამოაყენა მან ვაშინგტონის კონფერენციაზე. საზოგადოებრივი აზრი ბერლინისა ძლიერ დაინტერესებულია გერმანიის დელეგაციის კონფერენციაზე მიწვევის ცნობებით. მრავალი გაზეთები გამოსთქვამენ იმ მოსაზრებას, რომ ეს წინადადება ძნელი განსახორციელებელია.

**ანგორა.** აღმოსავლეთით ესკი-შეხირისა, მოგერიებულია მტრის რაზმის შემოტევა, რომელიც შესდგებოდა ქვეითისა და არტილერიისაგან, აფიონ-კარა-გისარის მიმართულებით, თოფითა და არტილერიის სროლა გრძელდებოდა ღამით გვიანობამდის. ჩაისკის მიმართულებით, მიუხედავად ცუდი ამინდისა, ჩვენმა ნაწილებმა განდევნეს მოწინააღმდეგე სოფლებიდან შეიხ-ლივანისა და ბუშულარიდან, ოსმალებმა დაიკავეს ზემოაღნიშნული სოფლები, წაართვეს მტერს ორი ტყვიისმფრქვეველი, მრავალი რიცხვი თოფებისა, სამხედრო მოწყობილობანი და ტყვეები. შეხლივანის მთაზე ნახეს მტრის 30 გვამი.

**ანგორა.** ნოემბ. 25. ესკი-შეხირის მიმართულებით, ჩალდა-სხაბანის სიმაღლეებზე თოფის სროლაა დროგამოშვებით. აფიონ-კარა-გისარის მიმართულებით, სწარმოებს მზვერავთა ძიება.

**ტრაპიზონი.** ნოემბ. 19. „ილერი" იტყობინება: საბერძნეთიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, თუ კი ანგორა სისუსტეს გამოიჩენს, საბერძნეთი ხელახლავ იარაღს ხელს მოჰკიდებს.

**კონსტანტინოპოლი.** ნოემბრის 18. „ჩაკატამარი" იუწყება: ნოემბრის 17 საბერძნეთის ჰაეროპლანი ყუმბარებს ისროდა კარამურსალზე.

**კონსტანტინოპოლი.** „ჟურნალი დორიანი" სწერს: მესოპოტამიის მეფემ გადასწყვიტა მიიღოს ყოველგვარი ზომები სომეხ ლტოლვილთა ბედის შესამსუბუქებლად, რომელნიც თავმოყრილნი არიან ნარ-ელ-ომარში.

**ნაუენი.** ნოემბრის 30. კანადის, ბრაზილიის, სამხრეთ აფრიკის, იტალიის, ინგლისის, საფრანგეთის და შვეციის

# პროლეტარული რევოლიუციის ეკონომიური საფუძველი

(რევოლიუციონური პერსპექტივების საკითხისათვის

ნ. ბუხარინი.

კრიზისი, რომელსაც განიცდის ამ ჟამად საერთაშორისო მუშათა მოძრაობა, და აშკარა გათავხედება სამხედრო წრეების ბირჟების მგლებისა და შეტემულ მოცულ „მრეწველობის კაპიტალის" მათი შეტევა მუშათა კლასის წინააღმდეგ და იმავ დროს „დამშვიდება" მუშათა კლასისა—ნებას აძლევს ხაძღვილ ბურჟუასა და სოციალ-დემოკრატიულ ოინბაზებს ერთნაირის ხარიხით უცადონ კაპიტალისტური კეთილდღეობის ახალს მოვლას. კაპიტალიზმი, რომელიც, ვფიქრობდით, უკვე იმსხვრეოდა შიაგანი წინააღმდეგობისა და სტიქიურად გადმოხეთქილ მუშათა მოძრაობის ძალდატანებით, მათ თვალებს გადარჩენის გზაზე მდგომად ეჩვენებით, და ისინი სერიოზულად ოცნებობენ კაპიტალის ახალ ათასწლოვან ბატონობის შესახებ. მაგრამ, ეს ქილიასტური ოცნებები წარმოადგენენ ყველაზე ნაკლებს რეალურსა დ ყველაზე მეტ ძსუბუქად მოაზროვნე კაპიტალისტურ ოპტიმისტების მხოლოდ ილიუზიას. წინააღმდეგ, ყველაზე მეტ ერიოზულად მოაზროვნე ბურჟუაზიის იდეოლოგები, წინასწარ გრძნობენ მის შეუჩერებელ დაღუპვას, რომელიც მათ შეგნებაში მთელი კულტურის დაღუპვად არის წარმოდგენილი. აქედან წარმოსდგა განწყობილება ღრმა სასოწარკვეთილებისა და მწუხარების, რომელიც გამოსჭვივის ბურჟუაზიის „ფილოსოფიურად განწყობილ" აზროვნებაში. აქედან (გერმანიაში) სამეურნეო კეთილ ი ვისერიანობის („ფიუზტიგკაიტ") ლოზუნგისათვის გვერდის ავლა მისტიციზმის, ბუდიზმის, ძველ ინდუსურ ფილოსოფიის შექებისაკენ. სასოწარკვეთილნი ამ ქვეყნიურ ში ბურჟუაზიული იდეოლოგები თვალს ზე აღაპყრობენ დარწმუნებულნი რომ იქ მოიპოვებენ მომავალში მშვიდობის იმავ დროს აქტიური პრაქტიკები ცდილობენ მოატყუილონ მუშათა კლასი და შეუწყვეტლად ხარჯავენ ძალ-ღონეს ქუჩაბანდიდან (из тупика) გამოსაძვრომად. ასეთია სურათი „კაპიტალისტური ქვეყნისა" გაზაფხულზე კრისტის დაბადებიდან 1921 წელზე.

შევეცადოთ მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითები, რომელნიც დაასურათებს ამ მდგომარეობას. თავის თავად ცხადია, რომ საბოლოო გადაჭრა საკითხისა საზოგადოებრივი ეკონომიკის სფეროში მარხია. და როგორც ზედაპირული მოვლენებიც არ უნდა მოსჩანდეს ცხოვრებას სხვა სფეროებში, მაინც აქ უნდა ვეძიოთ პასუხები „საერთაშორისო კაპიტალიზმის ბედის" საკითხის შესახებ.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა გავითვალისწინოთ მიმდინარე წლის რამოდენიმე შედეგი; ე. ი. იმ წლის, რომელიც, ერთის მხრით, ხასიათდება ბურჟუაზიის გათავხედებით მეორეს მხრით—მუშათა მოძრაობის კრიზისით.

**ნახშირის წარმოება გერმანიაში** „იზრდებოდა" შემდეგ ნაირად: 1920 წ. (წლის პირველი ნახევარი, მილიონი ტონი) ჩვენ გვაქვს: იანვარ-თებერვალში 20.5; მარტში—10.15, აპრილ-მაისში—20.24; ივნისში—11.0; 1921 წელში სათანადო ციფრები ასეთია: 24.0 (+), 11.5 (+), 16.7 (—), 8.9 (—).

**ნახშირის წარმოება ინგლისში:** 1920 წ. იანვარი—19,16, თებერვალი—19,44, მარტი—19.5; 1921 წ. პირველი თვეების სათანადო ციფრები: 18.5 (—), 17.13 (—), 17.4 (—).

**თუჯის წარმოება ინგლისში.** აქ დაცემა, გაფიცვებთან ერთად, კატასტროფიულია. 1920 წ. პირველ ნახევარში ჩვენ გვაქვს თვეების მიხედვით: 0.67; 0.65; 0.70; 0.67; 0.74. 1921 წ. პირველ ნახევარში პირდაპირ გადაიღული ციფრებია: 0.64 (—); 0,46 (—); 0,39 (—); 0.06 (—!); 0.014 (—!!) 0.014 (—!!!); 0,0008 (—!!!!).

**თუჯის წარმოება ამერიკაშიც** აღწევნებს თავის შეურყეველ დაცემას; აქ ციფრები პირველი ნახევარი წლის პირველი სამი თვისა და მეხუთე თვის ასეთია 1920 წელში 3.0· 3,0; 3.38; 2.99. 1921 წელში 2.4 (—), 1.9 (—); 1.6 (—); 1.22 (—). (ინდექსური რიცხვი „ფრანკფურტის გაზეთისა", აგვისტო, გვ. 55) დამატებითი ცნობებით ჩვენ გვაქვს ასეთი ციფრები: ივნისი 1.065 (—), ივლისი 8.65 (—); აგვისტო და სექტემბერი იძლევიან ცოტაოდენ წარმატებას (9,54 და 9.86).

(ნიუ-იორკი, „ტაიმსი" 6 ოქტ.)

თუ ჩვენ ავიღებთ ევროპის ყველაზე უფრო ძმარცველს, საფრანგეთს, ძასში ნახშირის წარმოება ერთს ადგილზე არის შეჩერებული: 1921 წ. იანვარში 2.427. 588 ტონი, ივნისში 2.408,381 ტონი.

შეიძლებოდა მოგვეყვანა მთელი რიგი მაგალითებისა წარმოების სხვა დარგებიდანაც. რასაც არ უნდა ლაპარაკობდნენ იქ, არავითარი სერიოზული გაუმჯობესება არ არის. ციფრები უფრო საწინააღმდეგოს ამბობს, წარმოებითი საფუძველი არ ფართოვდება. არავითარი „აღდგენა კაპიტალიზმის" არ არის.

მაგრამ, შეიძლება, ფართოვდებოდეს საერთაშორისო ვაჭრობის ტრიალი? შეიძლება, მსოფლიო მეურნეობა, ომის დროს სხვა და სხვა ნაწილებად დაგლეჯილი, ნელა აჩქარებით აღადგენდეს თავის ეკონომიურ ხაგარეო კავშირებს, რომელთა საფუძველზე უახლოეს მომავალში შესაძლებელი იქნეს ნაციონალურ კაპიტალისტურ მეურნეობის ფარგლებში საწარმოო ძალთა ჯერ არ ასეული აყვავება? ნაძლევა ამ სახით, კაპიტალიზმი აგროვებდეს ურიცხვ შინაურ ძალებს, რომ შემდეგში გადასდგას გადამჭრელი ნაბიჯი წინ?

ვნახოთ, აი 1920 და 1921 წლების ციფრები:

1 9 2 1 წ.

| | იანვარი | თებერვ. | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ამერიკა (მილიონი დოლარი)** | | | | | | |
| შემოტანილია | 209 | 215 | 252 | 255 | 208 | 198 |
| გატანილია | 655 | 489 | 384 | 340 | 330 | 340 |
| გატანილი მეტია შემოტანილზე | 446 | 274 | 132 | 85 | 122 | 142 |
| **ინგლისი (მილიონი გირვანქა სტერლინგი)** | | | | | | |
| შემოტანილია | 117 | 96,9 | 93,7 | 89,9 | 86,2 | 88,2 |
| გატანილია | 102,7 | 76,2 | 75,7 | 68,4 | 50,3 | 33,2 |
| მეტია შემოტანილი | 14,3 | 20,7 | 18,0 | 21,6 | 36 | 50,0 |
| **საფრანგეთი (ათასი ფრანკი)** | | | | | | |
| შემოტანილია | 1982 | 1614 | 1743 | 1779 | 1570 | 1,73 |
| გატანილია | 1883 | 1899 | 1686 | 1932 | 1650 | 1,75 |

1 9 2 0 წ.

| | იანვარი | თებერვ. | მარტი. | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ამერიკა (მილიონი დოლარი)** | | | | | | |
| შემოტანილია | 474 | 468 | 524 | 496 | 431 | 553 |
| გატანილია | 722 | 645 | 820 | 684 | 746 | 631 |
| გატანილი მეტია შემოტანილზე | 248 | 177 | 296 | 188 | 315 | 78 |
| **ინგლისი (მილიონი გირვანქა სტერლინგი)** | | | | | | |
| შემოტანილია | 183,3 | 170,4 | 176,6 | 167,1 | 166,4 | 170,5 |
| გატანილია | 131,3 | 108,6 | 130,7 | 126,7 | 139,6 | 136,5 |
| მეტია შემოტანილი | 51,9 | 61,9 | 45,8 | 40,5 | 26,8 | 26,0 |
| **საფრანგეთი (ათასი ფრანკი)** | | | | | | |
| შემოტანილია | 2496 | 3150 | 3123 | 2888 | 2887 | 12,15 |
| გატანილია | 1010 | 1750 | 1338 | 1377 | 1210 | 6,57 |

რას გვეუბნება ეს ციფრები? პირველად, ოვგვითხრობს ევროპიულ ქვეყნების პასიურ ბალანსზე. მერმედ კიდევ უარყოფს შემცირებას საერთაშორისო ვაჭრობის ზრდაზე. წინააღმდეგ საერთაშორისო ურთიერთობა 1921 წლიდან კი არ იზრდებოდა, არამედ მცირდებოდა როგორც ამას სრულის სიცხადით ამტკიცებს ზემოდ მოყვანილი ციფრები, რომელიც შეგროვილია „ფრანკფურტის გაზეთის" რედაქციისაგან (წყარო, რომელ აც არ შეიძლება უსაყვედუროთ აზრთა სახეობის არაკეთილი განზრახვა). აქედან გამოდის, რომ ჩვენ არა გვაქვს სიმპტომებიც კი ძალთა ისეთი დაგროვებისა, რომელსაც შეეძლება ჰქონებოდა რეალიზაციისა მხოლოდ რომელსამე მომავალში. აგრეთვე დამახასიათებელია სტატისტიკა კონკურსებისა, რომელიც ძ ჰყავს „ფ. გ.", როგორც მაჩვენებელი „მსოფლიო მეურნეობის საქმეთა მდგომარეობის ხაერთო გაუარესებისა". გერმანიაში 1920 წ. პირველ ნახევარში იყო 347 შემთხვევა, 1921 წ. ამავე ნახევარში—1.573; ინგლისში პირველ სამ თვეში შესაფერისი ციფრები 310 და 753; ამერიკაში ნახევარი წლის განმავლობაში—2.927 და 9.010 და ასე ამგვარად.

ჩვენ არა გვაქვს ადგილი, რომ მოვიყვანოთ გამაკვირვებელი ციფრები უმუშევრობის ზრდის შესახებ, რაც აუცილებლად გამომდინარეობს შექმნილ გარემოებისაგან. ეს ციფრები, უნდა ვსთქვათ, არა ერთხელ ყოფილა გამოტანილი ჩვენს ბეჭდლობაში. ასევე ჩვენ არ შეგვიძლია მოვიყვანოთ მეტის მეტად საინტერესო ცნობები ხავალუტო დამოკიდებულების, ფასების და სხვათა შესახებ. მაგრამ მოყვანილი ციფრებიც ჩვენ მიგვაჩნია საკმაოდ იმის დასამტკიცებლად, რომ კაპიტალისტურ მეურნეობას ქუჩაბანდისაგან თავი გაერ დაუღწევია.

ეს კი არის საფუძვლიანი გარანტია პროლეტარული რევოლიუციის აუცილებლობის. მუშათა მოძრაობის კრიზისი გამოწვეულია არა კაპიტალიზმის ხვრელის ავსების შედეგად კაპიტალისტური ეკონომიკის გაუმჯობესებით. ს არის პსიხოლოგიური რეაქცია შიგნით საშინელს პირველს ბრძოლებში დამარცხებულ არმიისა. ამიტომ პროლეტარიატის რევოლიუციური ენერგიის შესუსტება შეუძლებელია დიდის ხნობით. „დამარცხებული არმიები კარგათ სწავლობენ", მაგრამ ეს გარეშე მაყურებელისათვის შეუმჩნეველი „გამწვრთნა" განადგურების უფსკრულისაკენ მიმავალ კაპიტალიზმთან ერთად ბოლოს და ბოლოს მოგვცემს გარდუვალ ეფექტს: პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლიუციის გამარჯვებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის და მუშების წარმომადგენლებმა, გერმანიის სხვა და სხვა ქალაქებში დაათვალიერეს სამხედრო ქარხნები. დელეგატები დარწმუნდნენ, რომ ქარხნებში არ კეთდება სამხედრო მასალები.

**ნაუენი.** ნოემბრის 30. მარტის მოვლენების სხვა და სხვაგვარი თვალსაზრისით გაშუქების გამო, კომუნისტებმა გასწყვიტეს ყოველგვარი კავშირი დამოუკიდებლებთან.

**მოსკოვი.** ნოემბრის 30. ათინაში გაფიცვა გამოაცხადეს ელექტრონის, გაზისა და ტრამვაის წარმოებათა მუშებმა. მთავრობამ მიიღო სასწრაფო ზომები გაფიცულთა წინააღმდეგ. დაიჭირეს მრავალი მუშები. გაფიცულნი, რომელნიც განთავისუფლებულნი იყვნენ სამხედრო ბეგარისაგან, ხელახლად მიწვეულნი არიან ჯარებში.

**მოსკოვი.** დანიის პარლამენტმა მიიღო უკიდურესად რეაქციონური და მკაცრი კანონი უმუშევართა წინააღმდეგ. ამ კანონმა, რომელიც მიმართული იყო პროფკავშირების წინააღმდეგ, გამოიწვია ძლიერი აღშფოთება მუშათა შორის და თითქმის სოციალ-შეთანხმებულთა წრეებშიაც.

**მოსკოვი.** ნოემბრის 30. ვარშავიდან გვაცნობებენ: გაზ. „რაბოტნიკი“ ბრალს სდებს პოლონეთის მინისტრებს ჰაბსბურგთა დაცვაში და ჰაბსბურგთა მამულების კონფისკაციის კანონის საბოტაჟში.

**მოსკოვი.** ნოემბრის 30. პარიზის ქალაქის საბჭოში მოხდა აყალ-მაყალი, კომუნისტ ბადინის არჩევასთან დაკავშირებით. საბჭომ გამოსთქვა წინააღმდეგი აზრი მისი დაუყონებლივი განთავისუფლებისა ციხიდან.

**მოსკოვი.** ნოემბრის 30. ლონდონიდან გვაცნობებენ: მუშათა პარტიების ტრედიუნიონის წარმომადგენლებმა წარადგინეს განსახილველად საერთაშორისო კონფერენციის რეზოლიუცია უმუშევრობის შესახებ, რომელიც ღაღადებს შემდეგს: უმუშევრობა—უღელია, რომელიც აწევს მთელს ერს. მრეწველობის კრიზისი გამოწვეულია მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკით, განსაკუთრებით რუსეთისა და ცენტრალური ევროპის მიმართ. რეზოლიუცია მოუწოდებს მთავრობას გადაშინჯოს ვერსალის ხელშეკრულება და უარი სთქვას სამხედრო ანაზღაურებაზე. რეზოლიუცია მოითხოვს მოაწესრიგოს საკითხი მოკავშირეთა ვალების შესახებ, ჰპირდება მხარის დაჭერას რუსის მუშებს და გამოსთქვამს თანაგრძნობას შიმშილის გამო, რომელიც შედეგია არა მარტო სტიქიის, არამედ ბლოკადის პოლიტიკისა და უარყოფითი შეხედულებისა რუსეთთან სისტემატიური სავაჭრო დამოკიდებულების განახლებისა. მთავრობას მოუწოდებს, რათა მან აღმოუჩინოს მხურვალე დახმარება რუსეთს ამ უბედურებაში, მიიღოს ზომები ვაჭრობის განახლებისათვის და სურსათის გატანისათვის რუსეთში.

**როსტოვი.** 28 ნოემბ. ბურჟუაზიულ სახელმწიფოების წარმომადგენლების კამათმა ვაშინგტონში, დაამტკიცა ის წინააღმდეგობა, რომელიც მეფობს მსოფლიო ბურჟუაზიაში. ვაშინგტონის კონფერენცია სურათია მსოფლიო კაპიტალის დანგრევის.

**ბერლინი.** 26 ნოემბ. იტალიის პოლიტიკურ წრეებში უარყოფითად უყურებენ საფრანგეთის მოთხოვნილებას საზღვაო განიარაღებაზე. იტალიის პრესა ამტკიცებს, რომ საფრანგეთი ითხოვს თავისი ფლოტის შეფარდებას იტალიის ფლოტთან, როგორც სამის ორთან, ილტვის ხმელთა შუა ზღვაზე ჰეგემონიისაკენ, იტალიისათვის კი ეს საკითხი „სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია.

**ლივერპული.** 10 ნოემბ. „სიტყვაში, რომელიც იქმნა წარმოთქმული ჰილდხოლეში ლონდონის ახალი ლორდ-მერის ბანკეტზე, ლოიდ-ჯორჯი შეეხო ვაშინგტონის კონფერენციას, რომელიც მან სცნო ფრიად დროულად. ჯერ კიდევ ომმა არ მოგვცა ის შედეგები, რომელსაც მოელოდა მისგან ყოველი გონიერი ადამიანი, სახელდობრ—განიარაღების პრინციპის დამყარებამ. ჩვენ ჯერ ვერ მოვასწარით ომის გათავება, რომ ხალხები კვლავ ჰფიქრობენ ომისათვის ახალს ყუმბარების მზადებაზე. ყუმბარები ახლა ასჯერ ძვირი და გამანადგურებელი იქნება. საშინელებაა წარმოდგენაც კი ახალი ომის შედეგებისა. ამერიკის კონფერენციას ხელთ უპყრია მსოფლიოს მომავალი კულტურა. ინგლისი აღზრდილია იმ რწმენაზე, რომ სერიოზული შეთანხმება ამერიკასთან შეუძლებელია. („პრავ.“).

**ჰანოვერი.** 9 ნოემბ. „მატენის“ ვაშინგტონის კორესპონდენტი გამოსთქვამს რომ კონფერენციაზე ყოველივე კარგად ჩატარდება საფრანგეთისათვის, თუ კი 24 ნოემბერს არ ჩამოვა ლოიდ-ჯორჯი, „ეს ცხენის დაღალი,—სწერს კორესპონდენტი,—თავის გამოჩენით შეიტანს არევ-დარევას მთელს კონფერენციაზე“. („პრავ.“).

**ბორდო.** „მატენს“ მოჰყავს სრული ტექსტი საიდუმლო ხელშეკრულებისა ინგლისსა და ოსმალეთს შორის, რომელიც თითქოს იყო ხელმოწერილი 1919 წელს კონსტანტინეპოლში დიდი ვეზირის დამად-ფერიდისა და ჩერჩილის მიერ. ხელშეკრულება დადებული იყო საფრანგეთის უცნობლად იმ მიზნით, რომ ჩამოეგდოთ სულთანი ოსმალეთში საფრანგეთის ინტერესების საზარალოდ და იმ მოსაზრებით, რომ სრულიად დაემონებინათ ხალიფატი ინგლისისათვის. („იზვ.“).

**ჰანოვერი.** 9 ნოემ. ჰავასის სააგენტოს ცნობით, ლონდონის პროტესტის ნოტა ანგორის შეთანხმების წინააღმდეგ მიმართულს, უწოდებს ამ შეთანხმებას შეუფერებელს ანტანტის მთლიანობისათვის და მრავალს შემთხვევაში მოწინააღმდეგეს ინგლის-ფრანკო-იტალიის შეთანხმებული დადგენილებებისა.

ეს მემორანდუმი, პარიზის ცნობებით, შედგენილია ისეთი გაბედული კილოთი, რომ, როგორც ამბობენ პარიზის გაზეთები, ის არ შეიძლება იქმნეს გამოქვეყნებული „დეილი კრონიკლის“ სიტყვით, ანტანტის შემდეგს არსებობას საფრთხე მოელის; ინგლისის მთავრობას მიაჩნია მდგომარეობა სერიოზულად. („იზვესტია“).

**მოსკოვი.** 30 ნოემბ. ლონდონიდან იუწყებიან, რომ 26 გაეგზავნა საფრანგეთს ინგლისის ახალი ნოტა ანგორის საკითხის შესახებ. ნოტაში ინგლისის მთავრობა მოითხოვს საფრანგეთის მიერ ანგორასთან ხელშეკრულების უარყოფას. წინააღმდეგ შემთხვევაში ინგლისი იტოვებს უფლებას თავისუფლად მოქმედებისა არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ სხვა საკითხებშიაც. ბრიტანეთის მთავრობა უცდის საფრანგეთის ახალ საბუთებს, რომელიც დაამტკიცებს სურვილს ანტანტის არსებობის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ ერს მოუხდება სიარული საკუთარის გზით. ინგლისის ნოტამ გამოიწვია დიდი აღშფოთება საფრანგეთის პრესაში. მიცემულ ცნობების თანახმად, ინგლისი აგროვებს ჯარს კვიპროსში და ამზადებს დემონსტრაციას, რომელიც მოწყობილ იქმნა თავის დროს გერმანიის წინააღმდეგ.

**ვარშავა.** 27 კომუნისტური დეპუტატები ლიფონი, კაშენი და კუტიურიე გამოვიდნენ საფრანგეთის პარლამენტში შეკითხვით და მოითხოვდნენ საყოველთაო ხმის მიცემის თავისუფლების უზრუნველყოფას, განთავისუფლებას პარიზის საბჭოში არჩეულ კომუნისტებისა შავი ზღვის მეზღვაურთათვის ამნისტიას და საზოგადო ამნისტიას.

**რიგა.** 25 ნოემ. დანციგის რკინისგზელებმა წარმოადგინეს ულტიმატუმი სამუშაო ქირის მომატებისათვის და გამოაცხადეს საყოველთაო გაფიცვა.

**მოსკოვი.** 1 ოქტომბერი. მიღებულია ცნობები, რომ ბუენოს—აირესში (არგენტინაში) ხდება მღელვარებანი რომელსაც თან ჰყვება დატყვევება მონაწილეთა.

**მოსკოვი.** 1 დეკ. დვინის ქალაქის საბჭომ მიმართა ლატვიის მთავრობას მოთხოვნილებით რათა მან აუცილებლად მიიღოს ებრაელებზე თავდასხმის შესაჩერებლად ზომები.

**ბორდო.** 29 დეკ. „დეილი ხრონიკლის“ ცნობით შესდგა არა ოფიციალური თათბირი იაპონიის, ბრიტანიის და ამერიკელ დელეგაციებისა ინგლის იაპონიის ხელშეკრულების შეცვლის შესახებ. საბოლოო შედეგები არ არის მიღწეული თუმცა გამოირკვა, რომ იაპონია მზად არის გადააკეთოს სამკავშირო ხელშეკრულება ეთანხმება.

**ბერლინი.** 28 ნოემ. 40 კომუნისტმა ჰამბურგის ციხეში, აგრეთვე ყველა პოლიტიკურმა ტუსაღებმა გერმანიის ციხეებში გამოაცხადეს შიმშილობა.

**მოსკოვი.** 1 დეკ. საფრანგეთის იმპერიალისტები ჰფიქრობენ მორიგს პროვოკაციაზე და უნდათ შექმნან პირენეის მიდამოებში ახალი ავანტიურა. მოელიან ახლო ხანში ისპანიის რესპუბლიკის გამოცხადებას.

**ბორდო.** 30 ნოემ. ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობების მიხედვით, კერზონის სიტყვამ მოახდინა შეერთებულ შტატებზე დამაღონებელი შთაბეჭდილება. „ეკო დეპარი“-ს სიტყვით ბალფური არ მალავს თავის უკმაყოფილებას აღნიშნული სიტყვის გამო. ვივიანეს მიღების წინ მას ჰქონდა თათბირი ინგლისის წარმომადგენლებთან, რომელნიც ვაშინგტონში იმყოფებოდნენ. ამერიკის პრესას ჰგონია, რომ სიტყვა როგორიც იყო წარმოთქმული ლორდ კერზონის მიერ, ჰქმნის ვაშინგტონის კონფერენციაზე ნერვიულ ატმოსფერას. ამას გარდა, უკვე რამოდენიმე დღეა კონფერენციის წევრები გამოსთქვამენ თავის მოუთმენლობას იმის გამო, რომ დადგა მომენტი, როცა დიდი სახელმწიფოების დელეგაციები, რომელთაც გამომუშავებული აქვთ კონფერენციაზე საკითხების განხილვის პრინციპები, მოელიან ახალს დირექტივებს თავიანთ მთავრობებისაგან.

**რომი.** 30 ნოემ. საყოველთაო გაფიცვა ტრიესტში შეწყვეტილია, რადგან მიღწეულ იქმნა შეთანხმება. მდგომარეობა თან და თანობით ნორმალურს კალაპოტში სდგება.

**ფინელების ბრბოების კორელიაში შეჭრა.**

**მოსკოვი.** 30 ნოემ. რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოაქვეყნა ნოტები, რომლებითაც ამ უკანასკნელ დღეებში, მოახდინეს აზრთა გაცვლა გამოცვლა რ. ს. ფ. ს. რ. და ფინლიანდიის მთავრობებმა, კარელიის მხარეში, ფინლიანდიიდან ბრბოების შეჭრის გამო. სახალხო საგარეო საქმეთა კომისარიატის ნოტაში მოყვანილია ფაქტები, რომლებიც მოწმობენ ფინლიანდიის მთავრობის მონაწილეობას შეიარაღებულ ბრბოთა ორგანიზაციაში კარელიის მხარეში შემოსაჭრელად, უკანასკნელის მხრივ კარელიის სოფლებზე დაცემას, მათ დარბევას გზების აოხრებას და სხვა. რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობა მიუთითებს ფინლიანდიის მთავრობას იურიევის ხელშეკრულების დარღვევაზე, პასუხისმგებლობას ყველა ზარალის ანაზღაურებაში ანდობს მას და მოითხოვს უსასტიკეს ზომების მიღებას კარელიის მშრომელ კომუნაზე თავდასხმის შესაწყვეტად. რ. ფ. ს. ს. რ. მთავრობა აცნობებს ფინლიანდიის მთავრობას, რომ რესპუბლიკას აქვს თავის განკარგულებაში ჰყოფნის საკმარისი საშუალებანი ამ საშიშ ავანტიურის სალიკვიდაციოთ. ფინლიანდიის მთავრობა თავის ნოტაში უარყოფს ფაქტებს და ბრალდებას კარელიაზე თავდასხმაში მონაწილეობის შესახებ თავის მხრივ აცხადებს სურვილს საზავო ხელშეკრულების სრულ დაცვაში. პირიქით ფინლიანდიის მთავრობა ბრალსა სდებს რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობას იურიევის ხელშეკრულობის დარღვევაში და ამას ხედავს იმაში, რომ კარელიას არა აქვს მინიჭებული სრული ავტონომია. ეს-კი არის საზიზღარი პირმოთნეობა, რადგან კარელია სარგებლობს ფართო ავტონომიით.

**მოსკოვი.** 1 დეკ. 29 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვიდა წარმომადგენლობა ხორვეგიისა, რომელსაც მეთაურობენ იოჰანნე ფრიდრიკი, კვინტეი და რაბანა, წინეთ ყოფილ მრჩევნები ხორვეგიის მისიისა პარიზში.

**მოსკოვი.** 1 დეკ. რუსეთის ფინანსთა სახალხო კომისარიატის კასაში 18 ნოემბრამდე შემოვიდა რ. ს. ფ. ს. რ. 14 გუბერნიიდან 32 მილიარდი სამრეწველო გადასახადი.

**მოსკოვი.** 19 ნოემ. პეტროვის უმაღლეს სამეურნეო საბჭომ გასცა იჯარით ქარხანა „სვეტლანა“-ი, რომელიც ამზადებს მშრალ ჰალვანიურ ელემენტებს. იჯარის ვადაა 5 წელი. ქარხანა უნდა დაამზადოს პირველ წელს 2000 ელემენტი, მეორე წელს 3000 და მესამე წელს კი 5000. საიჯარო ქირა შეადგენს წარმოებისა 1440.

**მოსკოვი.** 1 დეკ. 11—37 ნოემბრამდე პეტროგრადის ნავთსადგურში 23 საზღვარ-გარეთელი გემი მოვიდა, რომელნიც დატვირთულნი არიან სურსათით და ნაწარმით. წინა კვირაში ესტონიიდან იამბურგით ჩამოიტანეს 20 ვაგონი ხორბალი, 25 ვაგონი ქერი, 40 ვაგონი ქაღალდი, 2 ვაგონი სალიანდაგო მასალები და მრავალი სხვა.

**ოდესა.** ნოემბრის 26. ოდესის საგუბერნიო საგანგებო კომისიამ მოახდინა ლიკვიდაცია ოდესაში სავინკოვის აგენტების მიერ დაარსებულ „სამშობლოს და თავისუფლების დამცველი შავი ზღვის მხარის კავშირის“. პოდოლის საგუბერნიო საგანგებო კომისიაში მივიდა სავინკოვის აგენტი კრუშენიცკი და აღუთქვა სამსახური. კრუშენიცკი გაგზავნილ იქნა ხარკოვში, მისი პიროვნების გამოსაკვლევად, იქ მან მისცა დაბნეული ცნობები. კრუშენიცკი იქნა დაკავებული, გზაში ის გაიქცა, მაგრამ ხელმეორედ იქმნა დაკავებული ოდესაში. კრუშენიცკი შეეცადა მეორეჯერ გაქცევას, მაგრამ ცდამ უქმად ჩაიარა. დამტკიცებულია, რომ კრუშენიცკი გამოგზავნილია სავინკოვის მიერ „სამშობლოს და თავისუფლების დამცველ შავი ზღვის მხარის კავშირის“ შესაქმნელად. ამის შექმნაში კრუშენიცკი უნდა დამყარებოდა ამ მხარეში არსებულ ვრანგელის ორგანიზაციას, რომლის შტაბში შედიოდნენ თეთრი დევუ, რომელიც იმალებოდა კინოსტუდიის არტისტის სახლში, არტილერიის კაპიტანი სტანდერი, დანიშნული ქალაქის აღების შემდეგ საზღვაო ბატარეების უფროსად, პორუჩიკი ზუბევსკი, ორი ჯერ მოუძებნელი გენერლები და ყოფილი ესერი ვიქლი უვაროვა. ორგანიზაციის განკარგულებაში იმყოფებოდა დოლკინის რაიონში მყოფი პოსტნიცების რაზმი ბანდიტ ბანდურკინის ხელმძღვანელობით. აჯანყება მზადდებოდა, მაგრამ მოსპობილ იქმნა უკანასკნელ ხანებში. ქალაქი იყო გაყოფილი რაიონებათ. განზრახულ აჯანყების ღამეს შეთქმულები მივიდნენ დანიშნულ ადგილას, მაგრამ ხელმძღვანელთა უყურადღებობის გამო დაიშალნენ. ბალტიის მხარეში ბანდიტებმა შეცვალეს თავისი ტაქტიკა და მოქმედობენ ცალ-ცალკე ჯგუფებად. თითო ჯგუფი შესდგება 3—4 ადამიანისაგან, რომლებიც მიმართავენ ტერორს სურსათ-სანოვაგეზე მომუშავეთა მიმართ.

## მასწავლებლების შესახებ

არსებობს მოსამსახურეთა ერთი კატეგორია, რომელიც მუდამ უწყინარი და კეთილ სათნოებით ასრულებს თავის მოვალეობას. ის მძიმე საქმე, რომელსაც ეს ხალხი ეწევა, დიდათ განსხვავდება იმ ხალხის საქმიანობისაგან, რომელიც კანცელარიაში ეძებს საათის „პუკპუკით“ ვითომ დიდ რამეს აკეთებს. ასეთს თავდადებულ მუშაკთ მასწავლებლობა ეკუთვნის. ის მცირედი გასამრჯელო, რომელსაც მასწავლებელი იღებს, რა თქმა უნდა, სრულებით ვერ წარმოადგენს იმ შრომის ეკვივალენტს, რომელსაც ის ეწევა თავის მოღვაწეობის დროს. იყო ცარიზმის დრო, „როცა მასწავლებლის იდეურ სააზპარეზო მუშაობაზე თვალსაჩინო გავლენას ახდენდა „ჩინოვნიკური“ რეჟიმი, რომელიც არ კმაყოფილდებოდა იმითაც რომ სცდილობდენ სკოლა გადაექციათ „მეფის და სარწმუნოების“ სიყვარულის გამღვივებელ დაწესებულებად. მატერიალურადაც ავიწროვებდნენ მასწავლებლობას, ვინაიდან მათი წარმოდგენით მასწავლებლის შრომის ღირებულება არ წარმოადგენდა იმაზე მეტს, რასაც ის იღებდა.

მენშევიკური რეჟიმიც ხომ სრულებით გამასხარავება იყო მასწავლებელთა უფლებისა. მაშინ „რკინის კანცლერები“ ურაგუნებდენ ფეხებს მასწავლებელთა საშობაო თქმას, და მაშინდელი ხელისუფლები „უგზურობაში“ ართმევდენ ყოველგვარ საქციელს მასწავლებლებს, რომელიც კი მიმართული იყო მათი ეკონომიური საკითხების მოგვარებისაკენ. ჩვენ ვიცით 1918 წელს გორის მაზრის სახალხო სკოლების მასწავლებელთა გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე რომელიც 3 თვეზე მეტი გრძელდებოდა. 1919 წ. ხონის რაიონის მასწავლებელთა გაფიცვა ამავე ნიადაგზე და შემდეგ 1920 წ. მასწავლებელთა სამაზრო ყრილობები განსაკუთრებით შორაპნის მაზრაში, სადაც თითქმის ყოველთვის გამოკრთოდათ გაფიცვის დადგენილებები და რომლებიც სამწუხაროთ ვერ ხორციელდებოდა.

განათლების მინისტრი არ იცლიდა, დრო ეზოგა მასწავლებელთა ყრილობაზე დასწრებოდა ერთ სხდომას მაინც, მხოლოდ მგონი ერთხელ როცა მან „გამაბედნიერა“ სრ. საქარ. მასწავლებელთა ყრილობა თავისი დასწრებით განაცხადა: მასწავლებლობამ თვითონ უნდა შექმნას თავისი სამარსებო პირობებიო“. ე. ი. სამეურნეოს თქვენთვის არ სცალიათო და სხვ.

მასწავლებლობა არას დროს არ წარმოიდგენდა ამაზე მეტ ცინიკურ დაცინვას, მაგრამ სავალალოდ მასწავლებელთა დღევანდელი მდგომარეობა არსებითად არ განსხვავდება ძველისაგან. ეხლა თუმცა შემოღებულია ე. წ. პრემიალური სისტემა მაგრამ მასწავლებელი, რომელიც კვირაში 36 გაკვეთილს იძლევა, მისი თვიური ჯამაგირი 20 ათას თუმანს ძლივს აღწევს. ოჯახიანი მასწავლებელი ხომ საშინელი კატასტროფის წინ დადგება ამ საზღაპრო სიძვირის დროს!

დღეს ცხადზე-უცხადესია, რომ არსებობს მეტად უმართებულო დაფასება; თუ რკინის გზის მოსამსახურე კვირაში ერთხელ საკუთარი მატარებლით სოფელში მოგზაურობს და ამ მოგზაურობას სხვათა შორის საასპეკულაციოთ იყენებს, თუ ტრამვაიზე მოსამსახურეს ეთანადროული პოემიის თვეში ნახევარ მილიონამდე ღებულობს თუ მილიონზე „დამკვრელ“ პაის ღებულობს, ამავე დროს მასწავლებელი იმ გროშებსაც ვერ იღებს დროზე, რომელსაც მას პირდებიან. თბილისის მასწავლებლობას ორი თვეა ჯამაგირი არ მიუღიათ, არც პური და არც სამისო ფული მათ არ ეძლევათ.

რითი სცხოვრობს ეს ხალხი?

მიუხედავათ ყოველივე ამისა დღეს ვერ ნახავთ ისეთ სკოლას, სადაც მეცადინობა ანორმალურად სწარმოებდეს. ყველა მასწავლებელი სინდისიერად ცხადდება სკოლაში [illegible] ხშირად მთელი დღის [illegible] მეცადინეობის [illegible] რომს, რას აკეთებს.

— და შორიტება არ არის განა მასწავლებლობა უყურადღებოთ იყოს დარჩენილი?

საჭიროა სასწრაფოდ დაკმაყოფილებულ იქნას მასწავლებლობა თავისი ხვედრი ჯამაგირით, რომ ამით შეძლება მიეცეს ნაყოფიერ მეცადინეობის წარმოებისა.

უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება სოფლის მასწავლებლებს, სადაც ჯერ ვერ მოხერხებულა ჯამაგირების გადიდება და კვლავ 2 ათას თუმანს ღებულობენ.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს რევოლიუციონურმა-სოციალისტურმა მთავრობამ მასწავლებლობას.

ვ. თავზარაშვილი.

## საქ. რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობები

### შორაპნის მაზრაში.

**მიწადმოქმედების განყოფილების მოღვაწეობა.** შორაპნის მაზრის მიწათმოქმედების განყოფილების კოლეგიის ინიციატივით, საჭირა-სვირის მიდამოებზე გადის სარწყავი არხი, რომელსაც სიგძე აქვს 20 ვერსი და რწყავს რამდენიმე ათას დესეტინა მიწას. არხის გაყვანა მიჩნეულია სასწრაფოდ, რისთვისაც გამოცხადებულია სამუშაო ნადი, მობილიზაცია შემდეგი სოფლების: სვირის, საჭრის, არგვეთის, ჰალა-ტყის, რუფოთის, ღვანკეთის, თეთრხევის, ზესტაფონის, კვალითის და ცხრა-წყაროს. მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ კომუნისტურ პარტიის და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირის წევრებიც. არხის გასაყვანად არჩეულია ცენტრალური კომისია რომელშიაც შედიან ყველა სოფლის წარმომადგენელნი. ვინაიდან მუშაობა ძლიერ რთულია და თხოულობს დიდ შრომას და მატერიალურ დახმარებას, მაზრის მიწადმოქმედების განყოფილება შუამდგომლობს საქართველოს რევკომის წინაშე შესაფერ დახმარებას.

**აბრეშუმის პარკის მონოპოლია.** საქართველოს რევკომის დეკრეტის № 45-ის ცხოვრებაში გასატარებლად, რომელიც შეეხება აბრეშუმის პარკის მონოპოლიას, სასურსათო სახალხო კომისარიატმა გადასცა ამ ოპერაციების რწმუნებულს ამხ. ი. ქუთათელაძეს 1.996.000.000 მან. ამასგარდა ამხ. ი. ქუთათელაძის განკარგულებაში იყო გადაცემული 134,492 3/8 არშ. სხვა და სხვა ფართლეულობის საქონელი და სხვ. ამ საქმის მოთხოვნილება გაცილებით მეტს საქონელს მოითხოვდა, რაიც ამხ. ქუთათელაძეს ვერ გადაეცა თავის დროზე. ამასთანავე კოოპერატივებსა და დასამზადებელ ორგანიზაციებისათვის გაცემული ავანსები მათი ანგარიშები ჯერ-ჯერობით არ არის წარმოდგენილი, ვინაიდან ოპერაციები ჯერ კიდევ არ დასრულებულა. მათი ანგარიშები თავის დროზე იქნება წარმოდგენილი. დიდი დეფექტები არ არის მოსალოდნელი მათ ანგარიშებიდან.

სულ ოქტომბერში ჩაბარებული პარკი უდრის 11,000 ფუთს. პარკის დამზადება ამ სეზონში ჯერ კიდევ სწარმოებს. სახალხო სასურსათო კომისარიატი ფიცხელ ზომებს ღებულობს რომ რაც შეიძლება მეტი პარკი დაამზადოს სახელმწიფომ. მიღებულია ზომები მწარმოებლების და კერძო პირებიდან შეძენილ იქნას პარკი და ძაფი. პარკის მოსალოდნელ დამზადებას გამოავრესად ხელს უშლიდა შემდეგი პირობები: 1. პარკის დაგროვების საქმე მოხდა იმ პერიოდში როდესაც ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული სამოქალაქო ომის სტადიები და მათთან ერთად ახალი ხელისუფლების დამყარება და მათი ორგანოების მოწყობა არ იყო დასრულებული. ამასთან მოჰყვა ხალხის უნდობლობა ჯერ უცნობი საბჭოთა ხელისუფლებისადმი და ამ უნდობლობის ნიადაგზე დაკავშირებული ცდა თავის მატერიალური ღირებულობის გადამალვისა. 2. გადასაცვლელ საქონლის სიმცირე ხელს უშლიდა სახალხო სასურსათო კომისარიატს, რომ პირდაპირ წარმოებლებიდან შეეძინა პარკი რომლებიც არჩევდნენ კერძო მყიდველებისათვის მიეცათ, რადგან ისინი იქვე ისწორებდნენ ანგარიშს და ზოგიერთ შემთხვევაში თვითონ წარმოებლები ხლიდნენ პარკიდან ძაფს, ეხლა საქონლის გაგზავნა ადგილზე უფრო ინტენსიურად ხდება და იმედია რომ აბრეშუმის დაგროვება კარგს შედეგს მოიტანს, 3. კოოპერაციის ნელი მუშაობა, რომელსაც სავსებით არ ჰქონდა გათვალისწინებული ის დიდი შედეგი მონოპოლიისა და მასთან ისიც, რომ კოოპერაციაში ვერ ჰპოულობდა კომერციულ სარგებლობას. 4. ზოგიერთი უსინდისო აგიტაცია ადგილობრივ მონოპოლიის წინააღმდეგ და სპეკულაციისაკენ მოწოდება, 5. საერთოდ შექმნილი

მდგომარეობა ფაბრიკატების სიმცირე და სიძვირე ფართლეულობის, მეტ წილად ქმნიდა ისეთ მდგომარეობას, რომ გლეხები იძულებული იყვნენ თავის ნაწარმოები თვითონ გამოეყენებინათ ოჯახის საჭიროებისათვის და სხვ.

მიუხედავად ზემოდ ჩამოთვლილ მიზეზებისა, რომლებიც ეხლაც ხელს უშლიან აბრეშუმის საგნების მონოპოლიის გატარებას, სახალხო სასურსათო კომისარიატი დარწმუნებულია, რომ წლევანდელი პარკის კამპანია არამც თუ ზარალს მისცემს სახელმწიფოს, არამედ რამოდენიმე მოგებასაც, შეიძლება ისე დიდს არა როგორაც იმედი იყო თავში.

## საქ. ცენ. კოოპერატიული კავშირის რწმუნებულთა მე-2 ყრილობა.

### 1-ლი სხდომა

ოთხშაბათს 28 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე ტფილისში გაიხსნა საქართველოს ცენ. კოოპერატიულ კავშირის რწმუნებულთა მეორე ყრილობა.

მიუხედავად განსაკუთრებულ პირობებისა, ყრილობას დაესწრო საკმაო რიცხვი რწმუნებულებისა, ყრილობას ხსნას ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ცაგარელი, რომელიც თავის მოკლე მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნავს ყრილობის განსაკუთრებულ პირობებში მუშაობას და ამბობს: დღევანდელ ყრილობას მოუხდება ანგარიშის გაწევა ორი გარემოებისათვის: ერთის მხრით მან ანგარიში უნდა გაუწიოს ახალ ხელისუფლებას და განსაკუთრებით მის ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელსაც იგი აწარმოებს, და მეორეს მხრით, იმ ეკონომიურ კრიზისს, რომელსაც ასე მწვავედ განიცდის ჩვენი ქვეყანა, დასასრულ ორატორი გამოსთქვამს რწმენას, რომ ყრილობა თავს გაართმევს ყველა რთულ საკითხებს, რომელნიც, მის წინაშე ცხოვრების მიერ წამოყენებულია და გამონახავს იმ სწორ გზას, რომლითაც კოოპერაცია სათანადო ადგილს დაიჭერს ჩვენ სამეურნეო ცხოვრებაში.

მისალმების შემდეგ მოხდა პრეზიდიუმის არჩევნები: თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა გ. ლასხიშვილი, ამხანაგებად გ. კანდელაკი და ს. ირემაშვილი. მდივნებად: ქრ. რაჭველიშვილი და ალ. ცაგარეიშვილი.

აგრეთვე არჩეულ იქმნა სამანდატო კომისია.

ახლად არჩეული თავმჯდომარე ესალმება ყრილობას და მადლობას უძღვნის ნდობისათვის.

თავმჯდომარის მისალმების შემდეგ, შემუშავებულ და დამტკიცებულ იქმნა რეგლამენტი და გამგეობის მიერ წამოყენებული ყრილობის წესრიგი.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქმნა მოხსენება გამგეობის წევრის — ფინანსიურ განყოფილების გამგის შ. გოგებაშვილის.

მომხსენებელმა ყრილობას გადაუშალა ვრცელი სურათი იმ ფინანსიურ საშუალებათა, რომელნიც იყო მიმდინარე წლის განმავლობაში კავშირის განკარგულებაში და, რომელმაც თავისი სიმცირის გამო, არ მისცა კავშირს საშუალება უფრო მეტად ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მან აღნიშნა, რომ 1919 წლის 1 იანვრისათვის კავშირის განკარგულებაში იმყოფებოდა საკუთარი თანხის სახით 634,770 მან; 1921 წ. კი ეს თანხა გაიზარდა 10,404,727 მანეთამდე, თუ მივხედავთ ამას, თანხა საგრძნობლად გაზრდილა ჩვენს ბოხებზე, მაგრამ უცხო ვალიუტაზე კი დაეცა. რადგან 1919 წელს 634,770 მან. უდრიდა 3967 გირვანქა სტერლინგს, 1921 წელში 10,404,727 მანეთი უდრის მხოლოდ 650 გირვ. სტერლინგს რაიც ნათლად ამტკიცებს იმას, რომ თუმცა კავშირის ყურადღება მიპყრობილი იყო საკუთარ თანხების გადიდებაზე, მაგრამ ეს ზრდა არ იყო ისეთი ელასტიური და სწრაფი, როგორც იყო ფულის კურსის დაცემა.

შემდეგ მომხსენებელი ეხილავს სათითაოდ საკუთარ თანხის შემადგენლობას, რომელნიც ისეთსავე სურათს წარმოადგენს, როგორც ზევით მოყვანილი მაგალითი და ბოლოს განსაკუთრებულ ყურადღებას აპყრობს საწარმოო წამოწყებათ და საერთო ფინანსიურ მდგომარეობას. მომხსენებელი იძლევა საერთო სურათს საწარმოვო წამოწყებათა და ბოლოს დასძენს, რომ წარმოება გაყინულია ერთ წერტილზე და ამის მიზეზად თვლის საკუთარ წარმოების განკარგულებაში საბრუნავ თანხების უქონლობას. ამიტომ მოითხოვს განსაკუთრებულ თანხის შექმნას წამოწყება-

თათვის. საერთოდ მომხსენებელი უმთავრეს ყურადღებას აპყრობს ფინანსიურ კრიზისს, რომელსაც დღეს დღეობით მწვავედ განიცდის საქართველოს კოოპერაცია და ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად მიუთითებს ყრილობას მჭიდრო ორგანიზაციულ შეკავშირებისაკენ.

ეს ერთ-ერთი საშუალება მას მიაჩნია იმ აუცილებელ პირობათ, რომლის დაცვა იხსნის და გამოიყვანს საქართველოს კოოპერაციას არსებულ მდგომარეობიდან.

ამხ. გოგებაშვილის მოხსენების შემდეგ, მოსმენილ იქმნა სარევიზიო კომისიის წარმომადგენლის ამხ. კორძახიას მოხსენება. მომხსენებელმა გადაუშალა ყრილობას კავშირის ნამოქმედარი, აღნიშნა ზოგიერთი დეფექტები და ბოლოს იშუამდგომლა ყრილობის წინაშე, გამგეობის მიერ წამოყენებულ მოხსენებისა და ხარჯთ-აღრიცხვის დადასტურება.

## დეკრეტი № 82

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა.**

ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა დებულების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული პროექტი დებულებისა საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ და ადგილობრივ დაწესებულებათა ორგანიზაციის შესახებ.

2. რადგანაც წინა მუხლში აღნიშნული დებულებით (მუხ. 8 პ. 3) საკრედიტორო სიების განხილვა და დამტკიცება დავალებული აქვს ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცენტრალურ მმართველობას, ამის გამო აღრიცხვის წესების 49 მუხ. მეორე ნაწილი, რომლის თანახმად ადგილობრივ დაწესებულებათა საკრედიტორო სიების განხილვა და დამტკიცება დავალებული აქვთ საფინანსო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს,—გაუქმებულ იქნეს და 49 მუხ. შემდეგნაირად დაიწეროს.

მუხ. 49. ხაზინის კრედიტორების იმ ფულით დაკმაყოფილებისათვის, რომელიც მათ ერგებათ, კომისარიატები და ცენტრალური მმართველობანი შეადგენენ საკრედიტორო სიებს, სადაც სისწორით უნდა აღინიშნოს კრედიტორები, აღრიცხვის განყოფილებანი, ხარჯის საგანი და თანხის რაოდენობა, რომელიც ერგება თვითეულ კრედიტორს, ეს სიები წარედგინება ფინანსთა კომისარიატის საბიუჯეტო-საადრიცხვო განყოფილებას და მუშათა და გლეხთა ინსპექციას, არა უგვიანეს საადრიცხვო წლის დეკემბრის 31-სა.

3. რადგანაც საადრიცხვო წესებში აღნიშნული შემოსავალ გასავლის საქართო ფინანსთა სახალხო კომისარიატის დებულებით არ არის გათვალისწინებული, მისი მოვალეობა დაეკისროს ტფილისის ხაზინას და ამისდა თანახმად შეიცვალოს იმ წესების სათანადო მუხლები (მუხ. 27, 33 და 51).

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

ფინანსთა სახალხო კომისარი ალ. ხვანეძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალვაშიძე.

1921 წ. ნოემბრის 30.

ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 105

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა**

წითელ-არმიელთა დამხმარე კომიტეტის მოწყობის შესახებ.

რათა წესიერად დაყენებულ იქნეს წითელ-არმიელთა დახმარების საქმე და საფუძვლიანად გაეწიოს მზრუნველობა მათ ინტერესებს, — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. მოეწყოს წითელარმიელთა დამხმარე კომიტეტი.

2. წითელარმიელთა დამხმარე კომიტეტს ევალება: ა) მეთვალყურეობა და კონტროლი საბჭოთა ორგანოების მოქმედებისათვის, რომელნიც მზრუნველობას უწევენ ნამდვილ სამსახურის და სადემობილიზაციო წითელარმიელებს; ბ) უშუალო მეთვალყურეობა წითელარმიელთა ყოფა-ცხოვრებისათვის იმ დაწესებულებაში, რომელიც მათთვის მზრუნველობას ეწევა, და ყოველმხრივად ხელის შეწყობა იმ ადგილობრივ ორგანოთათვის, რომელთა მიერ მომარაგებულ უნდა იქნეს მათთვის ყოველგვარი კმაყოფა და უზრუნველყოფილი კულტურულ-განმანათლებელი ხასიათის საჭიროებანი; გ) მოწყობა შემოწირულებათა მოგროვებისა ნივთებით, სურსათ-სანოვაგით, ფულის ნიშნებით და სხვ.; დ) მოწყობა საჩვენებელი ყაზარმებისა, სახელოსნოებისა, სანატორიუმებისა, საკვები პუნქტებისა, საინვალიდო სახლებისა და სხვ.; ე) ინტერესის აღძვრა გარემო მცხოვრებთა შორის, წითელარმიელთა საჭიროების მიმართ და მათი საქმეში ჩაბმა ჯანსაღ, ავადმყოფ და ინვალიდ წითელარმიელთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად უშუალო დახმარების აღმოჩენისათვის.

3. წითელარმიელთა დამხმარე კომიტეტი შესდგება თავმჯდომარისა და მის მოადგილისაგან, რომელთაც დანიშნავს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი, და შემდეგ სახალხო კომისარიატების წარმომადგენელთაგან: სამხედრო და საზღვაოსი, ჯანმრთელობისა, სასურსათო, სოციალურ უზრუნველყოფისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ფინანსთა, აგრეთვე საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა და საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს თითო წარმომადგენლისა და საქართველოს რევოლიუციონურ კომიტეტის ორი წარმომადგენლისაგან.

4. კომიტეტს უფლება ეძლევა შეავსოს თავის შედგენილობა სხვა სახალხო კომისარიატებისა და ორგანიზაციათა წარმომადგენლებით.

5. კომიტეტის წევრებსა და იმ პირებს, ვინც რწმუნებულ იქნება კომიტეტისაგან, უფლება ეძლევათ დაუბრკოლებრივ ინახულონ ყოველი სასანიტარო დაწესებულება, რომელიც მზრუნველობას უწევს ავადმყოფ და დაჭრილ წითელ არმიელებს, და აგრეთვე ყაზარმები და საინვალიდო სახლები. ყველა შენიშვნა კომიტეტის წევრებისა და აღნიშნულ რწმუნებულების შემჩნეულ დაუდევრობისა და უწესრიგობის შესახებ, აუცილებლობაში უნდა იქნეს მიღებული ქვემდებარე პირისა დაწესებულებების მიერ.

6. კომიტეტს თავისი მიზნის მისაღწევად უფლება ეძლევა გახსნას ადგილობრივი განყოფილებანი და, სათანადო უწყებებთან ერთად, მოაწყოს საწყობები, დუქნები და სხვ. დაწესებულებანი, რომელსაც საჭიროდ დაინახავს.

7. კომიტეტი აწარმოებს საჭირო ნივთების და მასალების დამზადებას, როგორც საკუთარი მზრუნველობით, შეძლების საშუალებით, გაკეთებით და სხვ., ისე მომარაგების ორგანოების მეშვეობით, მათთანვე შეთანხმებით.

8. კომიტეტი იმყოფება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტთან.

9. აღრიცხვის და ანგარიშის შედგენისა და დამტკიცების წესს შეიმუშავებს თვით კომიტეტი, ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით.

10. კომიტეტის სახსარს შეადგენს: ა) ის თანხები, რომელსაც გადასდებს საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი და ბ) ის თანხები, რომელსაც კომიტეტი მიიღებს ლექციებისა, კონცერტებისა და სხვა შემოსავლისაგან.

11. კომიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ, სრულიად რუსეთის წითელ არმიელთა დამხმარე კომიტეტთან და თავის მუშაობას საფუძვლად დაუდებს უკანასკნელის ინსტრუქციებსა და წესდებებს.

12. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი. ალ. ხალვაშიძე.

1921 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 104

**საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტისა. —სახელმწიფოს მიერ კერძო მეურნეობისათვის გაცემულ საქონლისა და ქონების ფასის გადახდევინების შესახებ.**

1. ყოველი საგნისათვის, რომელსაც გადასცემენ სახელმწიფო ორგანოები კერძო პირებსა და ორგანიზაციებს— მათ შორის კოოპერატივებს,—როგორც არის მაგალითად, საწარმოო იარაღი, ინვენტარი, ფართოდ მოსახმარი და საშინაო საჭიროების საგნები, სხვა და სხვა გვარი მასალა და სხვა რამ ამისთ.—გადახდილ უნდა იქნეს ფასი.—

ამა წესს გამონაკლისი შეიძლება იქნეს რევოლიუციონური კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილებით.

შენიშვნა: 1. ფასი არ უნდა იქნეს გადახდილი ბავშვების კვებისა და იმ საგნებისათვის, რომელიც გაცემულ იქნება სოციალური უზრუნველყოფის წესით.

შენიშვნა: 2. ფასი არ უნდა იქნეს გადახდილი სურსათისა და იმ მოსახმარი საგნებისათვის, რომელიც გაცემულ იქნება სახელმწიფო წარმოებათა და დაწესებულებათა მუშამოსამსახურეებისა და მათი ოჯახების წევრთათვის, ბარათებით ან კოლექტიური მომარაგების წესით, აგრეთვე საწარმოო და სასპეციალო ტანისამოსისა და წამლებისათვის.

2 გაცემულ საქონლის ფასებს აწესებს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული, ფასების დამწესებელი კომიტეტი

3. საკვლაოდ, ახილი ფასების შემუშავებამდე, გაცემა მოხდეს საბაზრო ფასებზე არა ნაკლები დროებით ფასებით და არა ნაკლებ ომამდე არსებული მანეთის მყიდველობითი ძალის საშუალო ცვლილებისა.

შენიშვნა: დროებითი ფასებს აწესებენ კომისიები, რომლებიც შესდგება სამაზრო სასურსათო კომისარიატისა, ეკონომიურ განყოფილებისა, სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტისა და სამაზრო პროფესიონალური ბიუროს წარმომადგენელთაგან, და რომლებსაც ამტკიცებს სამაზრო რევოლიუციონური კომიტეტი, ხოლო გაცემა ძველი ფასებით უნდა მოისპოს.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ გაცემულ საგნებისათვის ფასი სახელმწიფოს სასარგებლოდ დაწესებულია ნატურად—ეს უკანასკნელი უნდა აღებულ იქნეს სათანადო ფულის ღირებულების ანგარიშით.

5. ამავე საფუძველზე უნდა დაწესდეს სავალდებულო ფასი იმ ხელშეწყობისათვის, რომელსაც სახელმწიფო გაუწევს კერძო მეურნეობას და კერძო პირს, როგორც არის, მაგალითად, სარგებლობა: მანქანების იჯარისა და ქირის სახით, სარემონტო სახელოსნოებისა, ელექტრონისა, წყლის მიწოდებისა, ტრამვაისა, წამლებისა და სხვა რამ ამისთ.

6. ამ დადგენილების აღსრულებისათვის მეჯითი მეთვალყურეობა დაევალება სამაზრო რევოლიუციონურ კომიტეტებს.

7. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

რევოლიუციონურ კომიტეტის მდივანი ალ. ხალვაშიძე.

1921 წ. ნოემბრის 28.

ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 96.

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

ფოსტის ამანათების გადასაგზავნი ნიხრის გადიდების შესახებ.

1. გადიდებულ იქნეს ფოსტის ამანათების გადასაგზავნი ნიხრი, შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| 2. გირვანქამდე | 3000 მან. |
| 2-დან— 7 გირ. | 6000 „ |
| 7-დან—12 გირ. | 10000 „ |

და 12 გირვანქის ზევით თითო გირვანქაზე ან მის ნაწილზე—1000 მან.— დანარჩენი გადასახადი ამანათებისათვის რჩება ძველებურად.

2 დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი. ბ. კვირკველია.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალვაშიძე.

1921 წ. ნოემბრის 15.

ტფილისი—სასახლე.

## თეატრი და ხელოვნება

### „ბერდო ზმანია".

1 დეკემბერს დაიდგა ალ. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია".

„ჩემი „ბერდო ზმანია" ფაუსტის შვილიშვილია", ამბობს პიესის ავტორი. იქნება მართლაც ალ. შანშიაშვილს თავისი „ბერდო ზმანია" უნდოდა ფაუსტის მემკვიდრედ გამოეყვანა, მაგრამ ხშირად, როგორც მოგეხსენებათ, სურვილი-სურვილად რჩება და მიზანი კი განუხორციელებლად. ასე მოსვლია ჩვენ ნიჭიერ პოეტსაც. ალ. შანშიაშვილის „ბერდო ზმანია" მალე მიიზიდავს მაყურებლის თვალს და ყურს, ვიდრე ფილოსოფოსის და ესთეტის ყურადღებას.

„ბერდო ზმანიაში" არ არის არც ერთი დრამატიული მომენტი. არავითარი სცენიური ხლართი და პერსონაჟების სიცოცხლე არ არის მასში, მოკლედ, რომ ვსთქვათ: რა უნდოდა ალ. შანშიაშვილს ამ პიესით ეთქვა? უნდა ითქვას ერთი რამ: ავტორს აუღია მეტად მძიმე თემა და მეტად ღრმა პრობლემატიური საკითხები გადასაჭრელად. პრობლემა ადამიანის სიცოცხლის ისევე ძველია, ისევე ახალია და ისევე ძნელი გამოსაცნობია, როგორც თვით სამყარო, ადამიანის მარადიულ ტანჯვაზე, არა ერთ მსოფლიო მწერალს მოუთხრობია და ასეთი საკითხების წამოყენება მოითხოვს სათანადო გაშუქებას, სიღრმავეს, სიმარტივეს და მკაფიო გამოსახვა იმ სახის, რა სახეც გინდა, გამოიყვანო. ალ. შანშიაშვილმა ეს ვერ შესძლო და „ბერდო ზმანია" როგორც სასცენო მხრივ, ისე ლიტერატურული ღირსებით სუსტ ნაწარმოებათ უნდა ჩაითვალოს.

პიესის განსახიერებაზე ამ შემთხვევაში, გვეძნელება ლაპარაკი. არც ერთი როლი, რომელშიც მსახიობს შეეძლოს ფრთების გაშლა და მაყურებლის თვალყურის მიზიდვა. არც ერთი ცოცხალი სიტყვა სადაც შესაძლებელი ყოფილიყოს ადამიანის ვნების ყოფის აშლა.

მ. ქიაურელი ბერდო ზმანიას შემსრულებელი მთელ ხუთ მოქმედების განმავლობაში გაიტანჯა. ჩვენ გვგონია, რომ ეს ასე იყო და არ ვიცით თვით მ. ქიაურელი რას გრძნობდა. უეცარი ხმის დადაბლება აწევ-დაწევა, სხვა და სხვა ტემპერამენტ ხოტბაზე გადასვლა, რომელიც არც მაყურის მოგვგონებდათ, არც მისორს. ეს ყოველივე გამოწვეული იყო მსახიობის უნიჭობით კი არა, არამედ როლის „სიცარიელით".

დანარჩენ აღსრულებლებზე იგივე ითქმის რაც მ. ქიაურელზე და მსახიობთა გაწვალებაზე, რასაკვირველია, ბრალი მიუძღვის რეჟისორს ალ. აბაშელს, რომელსაც აქვნი დრო და ამოდენი მასალა დაუხარჯია „ბერდო ზმანიაზე", ხალხი ბოლომდე დაესწრო და უნდა საწყენ რით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი აუდიტორია წესიერათ ვერ იჭერს თავს თეატრში, რაიც მოძასწავებელია ჩვენი ხალხის გაუზეიარების.

ხკამი № 51.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— თავმართი კომიტეტი.

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა მოცემული ტფილისის მილიციის უფროსისაგან გთხოვთ ჩისთვალოთ გაუქმებულად. გიორგი პავლეს ძე აგანჯაევი. № 128.

**დაიკარგა** სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული პირადობის მოწმობა სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის სტუდენტმა, ლავრენტი ალავერდის ძე ტუღუშმა, რასაც ვაცხადებ გაუქმებულად. 126

კბილის ექიმი

**Л. В. ХАРАБАДЗЕ ბაქრაძე**

იღებს ავადმყოფებს, ყოველ დღე დილის 9—2 და საღ. 4—6-დე ექიმობა, პლომბები ხელოვნური კბილები. მუშტაიდის შეს. № 4.

109